ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

# ახალგაზრდა ივერიელი

სამშაბათი,
24 აპრილი,
1990 წ.
№ 45 (11531)

ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ МОЛОДЕЖНАЯ ГАЗЕТА «АХАЛГАЗРДА ИВЕРИЕЛИ»

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 22 აპრილი — დედამიწის დღე

„ბუნება მბრძანებელია!“, „დავიცვათ ბუნება განადგურებისაგან!“, „ვაჩუქოთ ერთმანეთს ჰაერი!“, „ვინც ხეს ჭრის იგი თავის შვილს ჰკლავს!“, „ინტერფრონტი ეს იმპერფრონტია!“, „საქართველოს ბუნება განსაცდელშია!“, „ნუ მოგვწამლავთ!“, „ტყე ვერ მოისხამს ფოთოლს!“, „ძვირფასო მძღოლებო, გონს მოდით, სუნთქვა შეუძლებელია!“...

ასეთი ლოზუნგებით, ეროვნული და მწვანეთა მოძრაობის დროშებით დამშვენებულ საქართველოს მწვანეთა ხელმძღვანელები, ამ მოძრაობის მონაწილენი და გულშემატკივრები შეიკრიბნენ, როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლთან, დედამიწის დღისადმი მიძღვნილ პირველ მიტინგზე. მიტინგი ორ საათს გაგრძელდა.

ოცდაათამდე ორატორმა მთელი გრძნობით გამოხატა თავისი დამოკიდებულება დედამიწის გადარჩენისადმი, უმწვავესი გლობალური პრობლემებისადმი, ახლანდელი და მომავალი თაობების დღეგრძელობისათვის ყველა ერისა და ქვეყნის ძალთა გაერთიანების აუცილებლობის შესახებ...

ამ დღისადმი მიძღვნილ ვრცელ პუბლიკაციას უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

იური ლუკაშვილის ფოტო.




# საშუალო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

21 აპრილს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვაჟა ლორთქიფანიძემ მიიღო ჯორჯიის შტატის მცხოვრებთა დიდი ჯგუფი, რომელსაც მასპინძლობენ თბილისელთა ოჯახები. სახალხო დიპლომატიის წარმომადგენელთა შორის არიან ბიზნესმენები, კულტურის, განათლების მოღვაწეები, სტუდენტები, შტატის დედაქალაქის ქალაქ ატლანტას პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები.

სტუმრებმა დამსწრეთ გაუზიარეს რესპუბლიკის დედაქალაქში მიღებული პირველი შთაბეჭდილებები, გამოთქვეს სურვილი კვლავაც გაფართოვდეს საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა საქართველოსთან, რომელსაც ჯორჯიასთან აკავშირებს პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულება.

ვაჟა ლორთქიფანიძემ უპასუხა ამერიკელ ჟურნალისტთა კითხვებს.

საქინფორმი



# მივესალმები

მივესალმები ბ-ნ აკაკი შანიძის მიერ დიდი ხნის წინ გამოთქმულ წინადადებას იმის თაობაზე, რომ ვიხმაროთ დღევანდელ წერაში სათანადო შემთხვევებში მთავრული ასო-ნიშნები.

სხვა სიკეთესთან ერთად, ამგვარი ორთოგრაფიული სიახლე აღადგენს ჩვენს ხალხში ძველი ქართული ასომთავრული წერის საყოველთაო ცოდნას და ხელს შეუწყობს უძველესი ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის უკეთ ათვისებას.

თამაზ გამყრელიძე

# ინტერფრონტი და... სინამდვილე

აღარ მოვყვები იმის შესახებ, კიდევ რა შეთითხნეს ასე ნაცნობმა მტრებმა. კიდევ ერთხელ რომ ჩვეული მეთოდით ცდილობენ ლაფში ამოსვარონ ქართველობა. ამან ნასროლი ტალახის დონეზე შეიძლება გვავნოს, თორემ საღად მოაზროვნე ადამიანისათვის დღესავით ნათელია ამგვარი პროკლამაციების გავრცელების მიზეზიცა და მიზანიც. ხუთი თითივით ნაცნობი ხელწერაა...

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ანალიზხელსაწყოში“ წარმოების არაქართველმა მშრომელებმა მიტინგი გამართეს ამ ცილისმწამებლური აქციის გამო.

გენახათ როგორ გულწრფელად და მართლად საუბრობდნენ ამ ქარხნის 24 ეროვნების წარმომადგენლები. ქარხანაში ფიქრობენ, რომ ინტერფრონტის შექმნა ეროვნულ განხეთქილებას გამოიწვევს და მძიმე შედეგებით შეიძლება დამთავრდეს (ყოველ შემთხვევაში, მტერს ასე უნდა რომ დამთავრდეს)... ქარხნის მშრომელები იმასაც მკრეხელობად თვლიან, რომ ინტერფრონტის შექმნას საცხრამაისოდ აპირებენ.

ქარხნის არაქართველმა მშრომელებმა სასტიკად დაგმეს ინტერფრონტის შექმნის პროვოკაციული ინიციატივა.

ყალბსა და შეთითხნილს ადვილად გამოარჩევს ფხიზელი თვალი ნაღდისა და უტყუარისაგან...

ხოლო სინამდვილე კი — სინამდვილე ის არის, რასაც მტერიცა და მოყვარეც კარგად ხედავს თბილისში.., ერთ პატარა მოედანზე რომ სხვადასხვა ღმერთებს უდგათ სახლები...

ნინო სამხარაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი სტუმარია ლიტვის რადიოს რედაქტორი საულიუს ანტანაიტისი.** იგი ერთი თვეა, რაც უძღვება ახალ რადიოგადაცემას „88-ე სიხშირეზე". ეს არის ლიტვის რადიოს თავისუფალი არხი, რომლის მსმენელიც ძირითადად ახალგაზრდობაა. გადაცემა პირდაპირი ეთერით გადის და ღამის პირველი საათიდან დილის 6 საათამდე გრძელდება.

როგორც საულიუსმა გვითხრა, გადაცემა ერთი თვის განმავლობაში საოცრად პოპულარული გახდა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენ ყველაზე და ყველაფერზე სიმართლეს ვლაპარაკობთო.

მხოლოდ სიმართლის თქმას შეჰპირდა იგი ქართველ მკითხველსაც.

# „დამთავრდა კოშმარული სიზმარი, ლიტვა თავისუფალია"!

## ამბობს ლიტველი ჟურნალისტი

**— ლიტვაში მიმდინარე პროცესებზე ჩვენ გარკვეული წარმოდგენა გვაქვს, თუმცალა ძირითადად შედეგებს ვიგებთ, ისიც ხშირად მრუდე სარკეში, ამაში დიდად „გვეხმარება" ცენტრალური პრესა და ტელევიზია...**

— მე არც მიკვირს, რომ ლიტვაში მიმდინარე ბევრ მოვლენაზე რეალური წარმოდგენა არ გქონდეთ, თქვენც და ჩვენც ხომ ინფორმაციულ ბლოკადაში ვართ მოქცეულნი.

ცენტრალურ პრესასა და ტელევიზიას მუშაობის საკუთარი სქემა აქვს. სხვაზე ვერ ვიტყვი და ინფორმაცია, რომელსაც „ვრემია" ლიტვის შესახებ გადასცემს, ეს არის სიცრუის დიდი ხელოვნება, რომელმაც შეიძლება მხოლოდ გააოგნოს. მე სულ მიკვირდა, მაგალითად, როგორ ახერხებდა ცენტრალური ტელევიზია „ინტერფრონტელების" გრანდიოზული მიტინგების წარმოდგენას მაშინ, როცა მე თავად ვესწრებოდი ამ მიტინგებს, სადაც რამდენიმე ათეული ინტერფრონტელი თუ გროვდებოდა. თურმე, ცენტრალურ ტელევიზიას ბუზის სპილოდ მოჩვენებაც შესძლებია, კერძოდ მას აქვს ისეთი იაპონური ობიექტივი, რომლის მეშვეობითაც ერთ ოთახში მჯდომი 5 კაცი შეიძლება 20-ად მოგვაჩვენოს. ის ადამიანები, კი ვინც ამ სიცრუეს სჩადიან, ცხადია, სინდის-ნამუსთანაც მწყრალად უნდა იყვნენ. ერთხელ, როცა ჩემს კოლეგას, ეროვნებით რუსს, ვკითხე, თუ რატომ ამახინჯებდა ლიტვის შესახებ ცენტრში გადაცემულ ინფორმაციას, მოკლედ მომიგო: მე ვემსახურები იმათ ინტერესებს, ვინც პურს მაჭმევსო. ის კი არადა, ჩვენს მიერ საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებისათვის მომზადებული მასალებიც სერიოზულად მახინჯდება, ჩვენი სიგნალები ან საერთოდ არ მიდის ადრესატამდე, ანდა ისეთი სახით, რომ...

**— ამას წინათ ჩვენმა რესპუბლიკურმა ტელევიზიამაც გადასცა ლიტვასთან დაკავშირებული ერთი, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გამაოგნებელი ფაქტი, ლიტვის პრეზიდენტის მრჩეველს რომ განუცხადებია ერთ-ერთი უცხოელი კორესპონდენტისათვის — უახლოეს ხანებში ესტონეთი და ლატვიაც გავლენ კავშირის შემადგენლობიდან, დანარჩენ რესპუბლიკებში კი ჯერ საამისო სიტუაცია არ მომწიფებულა და კარგახანს არც მომწიფდებაო...**

— ვწუხვარ, რომ კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ. მე ეს ინტერვიუ არ მინახავს და არც მსმენია მის შესახებ... ვფიქრობ, ესეც მორიგი პროვოკაციაა. თავად კი ვეცდები, მხოლოდ სიმართლე გითხრათ. სიმართლე კი პირველ რიგში ის არის, რომ ლიტვა დღეს თავისუფალია! არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ლიტვა გავიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ლიტვა არც არასოდეს შესულა მასში. დრო 1940 წლიდან 1990 წლის 11 მარტამდე კი ერთი გრძელი ღამე, უფრო სწორად კოშმარული სიზმარი იყო, რომელიც როგორც იქნა, დამთავრდა...

ჩვენ ცენტრის ყველანაირ რეაქციას ველოდით, მაგრამ მაინც არ გვეგონა, თუ ასე უაზროდ მოიქცეოდნენ. კერძოდ, არ ვფიქრობდით, რომ ისინი დაიკავებდნენ დაწესებულებებს (ლიტვის პროკურატურას, უმაღლეს პარტიულ სკოლას, ბეჭდვითი სიტყვის სახლს). დაკავებით კი თურმე იმიტომ დაიკავეს, რომ ყველაფერ ამას ლიტვის კი არა, კავშირის ქონებად თვლიან. თუმცა ჯარისკაცები იმასაც გვეუბნებიან, რომ ამ შენობებს ისინი ლიტვის დამოუკიდებელი კომპარტიის თხოვნით იცავენ. ცხადია, ესეც მორიგი სიცრუეა. თუმცა ეს ყველაფერი ჩვენ ნაკლებად გვაღელვებს, ლიტველი ხალხი პროვოკაციაზე ძნელად წამოგება... პროვოკაციები კი ყოველ ნაბიჯზე მზადდება. ერთ ღამეს, როცა ჩვენი გადაცემა ეთერში მიდიოდა, მოგვივიდა ინფორმაცია, რომ ჯარისკაცებს უნდა აეღოთ ბეჭდვითი სიტყვის სახლი. ლამის მთელი ლიტვა მოვიდა იმ ღამით შენობის დასაცავად, ჩამოვიდნენ მეზობელი რესპუბლიკებიდანაც... ჩვენ მხოლოდ სიმშვიდით დავუპირისპირდით ჯარისკაცებს... კიდევ... სიმღერითა და ცეკვით... გავიმარჯვეთ. იმ ღამით არაფერი მომხდარა. ჩვენ არ გვეშინია არც ჯარისკაცების, არც ტანკების... ჩვენს რესპუბლიკას უფრო მეტი საფრთხე ეკონომიკური ბლოკადის სახით ემუქრება. ეს გარდუვალია, მაგრამ გვჯერა რომ ამასაც გავუძლებთ... თუ კავშირმა ბლოკადაში მოგვაქცია, ჩვენ მივმართავთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. დიდი იმედი გვაქვს ლიტველი ემიგრანტების, ისინი ხომ ბევრნი არიან. ჩვენს რესპუბლიკას უცხოურ ბანკებში საკმაო ვალუტაც აქვს, რომელიც უთუოდ დაუბრუნდება დამოუკიდებელ ლიტვას...

**— ზედმეტად ოპტიმისტურად ხომ არ უყურებთ კაპიტალისტური ქვეყნების დახმარებას?**

— ასპროცენტიანი დახმარების იმედი ჩვენ არავისგან გვაქვს. ეს არ არის რეალური. ჩვენ სულაც არ გვინდა პოლონეთის გზის გამეორება, კრედიტები რომ აიღო და ვალებში ჩაეფლო. კარგია, როცა რეალურ დახმარებას იღებ, მაგრამ



გადახდაა ძნელი. ლიტვა კი არცთუ ისე მდიდარი ქვეყანაა. ჩვენ მსოფლიო ბაზარს შეგვიძლია შევთავაზოთ მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. ეს კი ნაკლებად ფასობს...

ამას წინათ, მე ინტერვიუ ვთხოვე მიჩიგანის შტატის სენატორს (იგი წარმოშობით ლიტველია). მან განაცხადა: მე მინდა, ლიტვა მეორე ჰონ-კონგი გახდესო... კაპიტალისტური სამყარო ოპტიმისტურად უყურებს ლიტვას, ისინი ამბობენ, ამ ლიტვას მსოფლიო დონის პროდუქციის შექმნა შეუძლიაო. მე მჯერა, რომ ეს წინასწარმეტყველება ახდება. ჩვენი ხალხი ყველაფერს შესძლებს. და ამაში პირველ რიგში ჩვენი პოლიტიკური და მორალური ერთიანობა დაგვეხმარება.

**— „საიუდისსა" და მის ხელმძღვანელობაზე რას გვეტყვით?**

— „საიუდისი" არასოდეს ყოფილა პოლიტიკური ორგანიზაცია, ეს მის პროგრამაშიც წერია. ხშირად ამბობენ იმასაც, რომ „საიუდისი" „სახალხო ფრონტია", არც ეს არის სწორი. ის აბსოლუტურად თავისუფალი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ორგანიზაცია კომუნისტმა კაზიმირა პრუნსკიენემ (ლიტვის დღევანდელმა პრემიერმინისტრმა) ჩამოაყალიბა. ამით ის მინდა ვთქვა, რომ „საიუდისში" ერთიანდებიან ადამიანები განურჩევლად პროფესიისა და პარტიისა. დღევანდელი ლიტვის პრეზიდენტი ვიტაუტას ლანდსბერგისი პარალელურად „საიუდისის" სეიმის თავმჯდომარეცაა. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ პრეზიდენტის არჩევნებისას მან გაიმარჯვა (არჩევნებში ხომ ძირითადად „საიუდისის" წევრები მონაწილეობდნენ). თუმცალა მაშინაც და დღესაც ლიტველი ხალხის სიმპათია ალგირდას ბრაზაუსკასის (დღეს ლიტვის დამოუკიდებელი კომპარტიის მდივნის) მხარეზეა.

ამას წინათ ჩვენს გადაცემაში მოვაწყვეთ კონკურსი ლიტვის ყველაზე პოპულარული ადამიანის გამოსავლინებლად. ვფიქრობდით, რომ ახალგაზრდა გაიმარჯვებდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ლიტველების 90-მა პროცენტმა ხმა მისცა ბრაზაუსკასს. ლანდსბერგისს კი სულ რამდენიმე ქულა ერგო.

ერთი უდავოა, ლანდსბერგისი მეტად ნიჭიერი დიპლომატია, მაგრამ... მე მხოლოდ საკუთარ აზრს მოგახსენებთ: როცა იგი ლაპარაკობს, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საკუთარ „მე"-ზე: მე წავედი, მე გავაგზავნე, მე მოვაწერე. არ მინდა ვამტკიცო, რომ ეს თვითრეკლამაა, მაგრამ... კიდევ ერთიც — მიმაჩნია, რომ დღეს, ასეთ დაძაბულ ვითარებაში, ლიტვის პარლამენტი ძალზე ხშირად მეტად უმნიშვნელო, უფრო სწორად, ტექნიკური საქმეებითაა დაკავებული, მაგალითად, რა თანხა გადაუხადოს პარლამენტის წევრებს... ერთი სიტყვით, ხელმეორედ რომ ჩატარდეს არჩევნები, მე ხმას მივცემდი ბრაზაუსკასს და არა მარტო მე, ვფიქრობ, მთელი ლიტველი ხალხიც, პირველ რიგში კი ახალგაზრდობა...

**— რა როლს ასრულებენ ლიტველი ახალგაზრდები თქვენში მიმდინარე პროცესებში?**

— ჩვენი ახალგაზრდები, ქართველი ახალგაზრდების მსგავსად, მოვლენების შუაგულში, არიან და ერთ-ერთ მთავარ როლსაც ასრულებენ ეროვნულ მოძრაობაში. თუმცა ისიც უნდა გითხრათ, რომ ახალგაზრდებს ჩვენთან უფრო ენდობიან. ამის დასტურად თუნდაც ის კმარა, რომ ლიტვის კულტურის მინისტრი მხოლოდ 28 წლისაა. და ის გამონაკლისი როდია.

მაგრამ არსებობს მეორე მხარეც. მე ვამჩნევ, რომ ლიტვაში მომრავლდნენ პოლიტიკასთან გაუცხოებული ახალგაზრდები, ისეთებიც, მაგალითად „პანკები", სული ეშმაკს რომ მიჰყიდეს (ეს თავად მათი გამოთქმაა) და საზოგადოებისგან იზოლირებულად ცხოვრობენ ლიტვის ძველ კვარტალებში, ჭამენ ცოცხალი კატის ხორცს და გაიძახიან — ჩვენ დაგვამახინჯა სოციალისტურმა საზოგადოებამ და ფეხზე წამოდგომის უნარი აღარ შეგვწევსო.

საერთოდ კი ჩვენი ახალგაზრდობის უმრავლესობა ბრძოლის დიპლომატიურ გზას ამჯობინებს, თქვენი ახალგაზრდებისაგან განსხვავებით ბევრ რამეს ისინი მხოლოდ ცივი გონებით სჯიან...

**— როცა მედესანტეებმა თქვენი ახალწვეულები ძალით, იარაღის მუქარით გარეკეს ჯარში, როცა გამწარებული დედები, ეშელონი რომ შეეჩერებინათ, რკინიგზის ლიანდაგზე დაწვნენ, ძნელი დასაჯერებელია, რომ ამ ფაქტის შემდეგაც ცივ გონებას გაემარჯვა...**

— მიგიხვდით, აქ უკვე უკანდახევა მომიწევს. ამ ფაქტმა მთელი ლიტველი საზოგადოება გამოიყვანა წონასწორობიდან. მედესანტეები ხომ ვილნიუსის ახლოს, ახალ ვილნიაში მდებარე ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც შეიჭრნენ. სცემდნენ მილიციელებს, სცემდნენ ავადმყოფებს. არადა საავადმყოფოს თავზე საერთაშორისო წითელი ჯვრის დროშა ფრიალებდა...

ეს ბარბაროსობაა. ამიტომაც ჩვენ ბოიკოტი გამოვუცხადეთ არმიაში გაწვევას. სამხედრო კომისარიატებმა ლიტვაში მოქმედება შეწყვიტეს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ჩვენი წვევამდელებისა და ჯარისკაცების დასაცავად. ერთმა ლიტველმა დედამ, რომლის შვილი სამხედრო ვალდებულებას იხდის, ისიც კი განაცხადა, თუკი ჩემი შვილის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, წავალ მოსკოვში და თავდაცვის სამინისტროს შენობის წინ თავს დავიფერფლავო.

დღეს „საიუდისში" მოდის უამრავი ლიტველი ახალგაზრდა და ნებაყოფლობით ეწერება ეროვნულ ჯარში. ლიტველებს იარაღი ჯერ ხელში არ აუღიათ, მაგრამ თუ ჩვენს თავისუფლებას საფრთხე დაემუქრა.

**— და მაინც, როგორ გესახებათ თავისუფლება მაშინ, როცა ოკუპანტთა ჯარები ჯერ ისევ „იცავენ" თქვენს საზღვრებს?!**

— დიახ, ჩვენს თავზე დაფრინავენ ვერტმფრენები, ავრცელებენ ინტერფრონტელთა პროკლამაციებს, ჩვენს ქუჩებში დადიან ტანკები... ისინი ყოველ წუთს მზად არიან გადაუარონ ბავშვებსაც კი... და რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს, ჩვენ არ გვაქვს უფლება პროვოკაციაზე წამოვეგოთ. ჩვენში მღერიან სიმღერას, რომელიც ლამის ჰიმნად იქცა, ის ასე მთავრდება: „ღმერთო, დაიფარე ლიტვა"... მე ვევედრები ღმერთს, რომ ჩვენთან ერთად თქვენც დაგიფაროთ...

ესაუბრნენ
**რუსუდან ლეგანიძე
და მარინე დონაძე.**
1990 წლის 18 აპრილი.

19 აპრილს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარდა თანამშრომელთა და სტუდენტთა კრება. გთავაზობთ კრებაზე მიღებულ მიმართვებს.

### საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ბატონ გივი გუმბარიძეს

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ ნოდარ ჭითანავას

საბჭოთა კავშირის მთავრობა თავისუფლებისმოყვარე ლიტველი ხალხისადმი სიტყვიერი მუქარიდან გადავიდა აშკარა ძალადობაზე ლიტვის რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის მიმართ — შეუწყვიტა უპირველესი საჭიროების ნედლეულის მიწოდება. დავიწყებულია ლიტვაში მცხოვრები სსრკ მოქალაქეების ინტერესებიც კი, რომელთა დამცველადაც იგი აქამდე გვევლინებოდა.

მსგავსი საქციელი შეუფერებელია ქვეყნისათვის, რომელიც ცდილობს შექმნას დემოკრატიული საზოგადოება და სამართლებრივი სახელმწიფო.

მოვითხოვთ, მოახდინოთ ზემოქმედება, თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, სსრკ ხელისუფლებასა და მთავრობაზე, რათა მათ პოლიტიკური კრიზისები გადაჭრან არა ძალისმიერი, არამედ პოლიტიკური მეთოდებით — მოლაპარაკებების გზით.

მოვითხოვთ, აგრეთვე, საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ლიტვასთან დადებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული ყველა ვალდებულების შესრულება და კიდევ უფრო გააღრმავოს, შესაძლებლობის ფარგლებში, ორმხრივი ურთიერთკავშირი.

### საბჭოთა კავშირის პრეზიდენტს მ. გორბაჩოვს

### მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. რიჟკოვს

**პატივცემულო პრეზიდენტო!**

**პატივცემულო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარევ!**

ვაცხადებთ პროტესტს ლიტვის რესპუბლიკის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების გამოყენების გამო, რაც გამოიხატა მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ნედლეულის მიწოდების შეწყვეტაში.

მიგვაჩნია, რომ შექმნილი პოლიტიკური კრიზისი უნდა გადაიჭრას პოლიტიკური გზით — საბჭოთა კავშირსა და ლიტვას შორის მოლაპარაკებით, ყოველგვარი სანქციების გამოყენებისა და წინასწარი პირობების წაყენების გარეშე.

მოგიწოდებთ შეწყვიტოთ ეკონომიკური ზემოქმედება, მით უმეტეს, რომ ლიტვის რესპუბლიკის განცხადებით იგი ერთგული რჩება საბჭოთა კავშირის მიმართ აღებული ეკონომიკური ვალდებულებებისა, და დაუყოვნებლივ დაიწყოთ მოლაპარაკება ლიტვის რესპუბლიკის მთავრობასთან.

### ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა კრების მიმართვა ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტს

**ბატონო რექტორო!**

გილოცავთ ლიტვის დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლები და სტუდენტები გიცხადებთ სოლიდარობას თქვენ, ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, მთელს ლიტველ ხალხს თავისუფლებისათვის სამართლიან ბრძოლაში.

გაუმარჯოს თავისუფალ ლიტვას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბედოვლათობა თუ...




# იყიდება საქართველო!

**ძეგლთა** დაცვის მთავარ სამმართველოში თხოვნით მოგვმართეს, რომ სპეციალისტები გაგვეგზავნა ქვემო ქართლში მდინარე ხრამზე აშენებული ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლის ე. წ. წითელი ხიდის, სარესტავრაციო სამუშაოების საჭიროების დასადგენად.

მე–17 საუკუნის შუა წლებში ქართლის მეფის როსტომის დროსაა აშენებული ეს ხიდი. მისი სიგრძე 175, ხოლო სიგანე 4,3 მეტრია და დღესაც, აშენებიდან სამნახევარი საუკუნის შემდეგ, ჯეროვნად ასრულებს თავის დანიშნულებას. ხიდი ოთხმალიანია, ნაგებია წითელი ქართული აგურით (ამიტომაც ჰქვია მას „წითელი ხიდი"). ბურჯები შემოსილია თლილი ქვის პერანგით. კიდურა ბურჯებში მოთავსებულია დიდი ფართის სათავსები (მარცხენა ნაპირის საყრდენში ორი ოთახია 30 მ$^{2}$ და 135 მ$^{2}$, ხოლო მარჯვენაში ერთი — 115 მ$^{2}$ ფართით), როგორც ჩანს — ქარავნების დასასვენებლად. შუა ბურჯში მოთავსებულია ერთი, გეგმაში მრგვალი, კამარიანი სათავსი, რომელშიც ხიდის სავალი ნაწილიდან ხვეული კიბე ჩადის. ოთახი საბაჟოსათვის იყო განკუთვნილი. ძეგლს 1963–1964 წლებში ჩაუტარდა რესტავრაცია, ხიდის ქვევით მდინარე ხრამის დინების მიმართულებით, უფრო ძველი ხიდის ბურჯებია დარჩენილი.

დაკვირვებით დავათვალიერეთ ძეგლი. მარჯვენა ბურჯთან, ხიდის მალის ქვეშ ცხვარი აფარებდა თავს ივლისის მზეს. ირგვლივ სიბინძურე მეფობდა. სარკმლის ღიობიდან გადავედით ბურჯებქვეშ, დიდ ოთახში. მოუვლელ, ბნელსა და ნესტიანს სადგომში ნაგავში არეულია ცხვრის ნამუსრევები. ყველაფრიდან ჩანს, რომ უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაპატრონებიან.

მარცხენა ბურჯქვეშა ოთახების შესასვლელი კარის ღიობში ლითონის გისოსიანი დარაბაა ბოქლომით დაკეტილი. დახვეტილ-დასუფთავებულ ოთახებში სასიამოვნოდ გრილა, ირგვლივაც ეტყობა მზრუნველი ხელი.

მდინარის მარცხენა ნაპირას ხიდისთავთან გამართულ სახელმწიფო ავტოინსპექციის ჯიხურის წინ ჩრდილში დადგმულ მაგიდას მივუჯექით და ძეგლის დღევანდელი მდგომარეობის ამსახველი ჩანაწერები შევიტანეთ ჟურნალში.

დღეს 1989 წლის 10 ივნისია, შაბათი დღე.

უფროსმა ლეიტენანტმა ამირან კაჭახიძემ აგვიხსნა ხიდის დიდი კიდურა ბურჯებისა და მათში მოთავსებული საქარავნო სათავსების დღევანდელი ურთიერთსაპირისპირო მდგომარეობის საიდუმლო. თურმე, მარცხენა ბურჯის ოთახებსა და ხიდის მიმდებარე ტერიტორიას ჩვენი ინსპექციის მუშაკები უვლიან. გაღმა, მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირსაც გვედგა სასამსახურო ვაგონი და ამ ორიოდე თვის წინ აზერბაიჯანელებმა აგვალებინესო — გვეუბნება ამირანი — მდინარის იქითა მხარეს ისინი დაეპატრონნენო.

საზღვარი საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის სამხრეთიდან წითელ ხიდზე გადმოდის, ინსპექციის ჯიხურის წინ მთის ფერდს აუყვება ჩრდილოეთის მიმართულებით. კილომეტრნახევრის შემდეგ წრეს მოხაზავს აღმოსავლეთისაკენ, მტკვარს გადაკვეთს და მიდის ჩრდილო აღმოსავლეთისაკენო — გვიხსნის ამირანი და მაგიდაზე გვიხაზავს საზღვრის ხაზს — წითელი ხიდის ქვევით ხრამის მარცხენა ნაპირის ფერდობზე შეფენილი ვენახებიცა და მდინარის პირას გაშლილი საქონელიც აზერბაიჯანის რესპუბლიკისაა. განათლებული კაცი ჩანს მილიციის უფროსი ლეიტენანტი, მაგრამ მაინც ვერ ვუჯერებ, რომ ხეხილიან-ვენახიანი ოდითგან ქართული მიწა, ახლა რომ გადავყურებთ წითელი ხიდის მარცხენა ბურჯთან შეკრებილნი, ჩვენი აღარაა. მეხსიერებაში ამოტივტივდა ზუსტად 22 წლის წინანდელი ამბავი:

1967 წლის 10 ივნისს ზაფხულის გრძელ დღეს ინსტიტუტელმა მეგობარმა ქოსო დულაშვილმა (რომელიც იმჟამად მარნეულის ავტოინსპექციის უფროსად მუშაობდა) შეგვისრულა დიდი ხნის დანაპირები და მდინარე ხრამზე სათევზაოდ მივიწიეთ. მანქანა წითელ ხიდთან, მდინარის მარცხენა მხარეზე დავტოვეთ და ანკესებით დინების მიმართულებით დავუყევით. ხიდიდან ორი კილომეტრის გავლის შემდეგ ხრამის პირას დავბანაკდით. თქვენ ახლა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე დგახართო — გამოგვიცხადა სოსომ და იქვე შორიახლოს ქვის წაკვეთილი პირამიდის სასაზღვრო (მიჯნის) ქვა გვაჩვენა. საზღვრის აქ გატარების ფაქტმა ჩვენი გაკვირვება გამოიწვია. წესით სასაზღვრო ხაზი ქედის მწვერვალებს, წყალგამყოფ ამაღლებებს, მდინარეებს მიუყვება, აქ კი საზღვარი წითელი ხიდის შემდეგ მდინარე ხრამს მიჰყვება და მტკვრის შესართავამდე კილომეტრნახევრით ადრე კვეთს მდინარეების შეერთების ადგილას წარმოქმნილ, ვიწრო, ნახევარი კილომეტრი სიგანისა და კილომეტრნახევარი სიგრძის სოლისებურ კონცხს, გადადის მტკვარზე და მიდის ჩრდილო აღმოსავლეთით. ხმელეთის პატარა ზოლს, რომელიც საზღვრიდან აზერბაიჯანის მხარეს რჩება, მათი მხრიდან მისადგომი არა აქვს.

ცოტა წავიხემსეთ და ანკესები გავმართეთ. სამი საათის განმავლობაში ოთხმა კაცმა რამდენიმე პატარა თევზი დავიჭირეთ. ბედად ჩამოიარა მაღალყელიან ჩექმებში გამოწყობილმა კაცმა, რომელიც მარნეულის რაიონის მიწათმოქმედი აღმოჩნდა და ორმა აზერბაიჯანელმა (მახსოვს ერთ-ერთს მხარზე გადადებული ჰქონდა გრძელთათიება მიწის საზომი ფარგალი). ჩვენს ჯახირს რომ უყურეს, გვირჩიეს კონცხი გადაგვეჭრა და მტკვარზე გვეცადა ბედი. დავუჯერეთ და ნახევარ საათში უფრო მეტი თევზი დავიჭირეთ, ვიდრე რამდენიმე საათის განმავლობაში ხრამზე. დატვირთულები წამოვედით წითელი ხიდისაკენ. ხიდთან ნადავლის მანქანაში ჩაწყობისას ჩვენი ნაცნობი მიწათმოქმედი წამოგვეწია თანმხლებლებთან ერთად. მადლობა მოვახსენეთ დაკვალიანებისათვის, ვისაუბრეთ, რაჭველი კაცი აღმოჩნდა. კვლავ საზღვრის შესახებ ვკითხეთ, წითელი ხიდის გამოვლის შემდეგ ასე უცნაურად რომ ყოფს ორ რესპუბლიკას, ხიდზე აგვიყვანა და სასაზღვრო მიჯნების ადგილმდებარეობა დაგვანახა.

საზღვარი წითელი ხიდის სამხრეთით ბორცვაკის ფერდობზე ჩამოდიოდა ისე, რომ მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ თეთრთიხიან ფერდობს საქართველოს ფარგლებში ტოვებდა, ხიდს უვლიდა სამხრეთიდან. წითელი ხიდის შემდეგ ძველი ხიდის ბურჯების შემოვლით ჩადიოდა ხრამზე, მიუყვებოდა ორი კილომეტრი მდინარეს და გადიოდა მდინარეებს შორის კონცხზე, სადაც ჩვენ ვიყავით დაბანაკებული.

კმაყოფილები და დაღლილები გვიან დავბრუნდით თბილისში. სახლში მარტო ვარ და არ ვჩქარობ ბინაში შესვლას. კარის გაღებისას სახეგაბადრულმა დადარაჯებულმა მეზობელმა გადამკოცნა და საზეიმოდ თელავიდან მოსული დეპეშა გადმომცა. ქალიშვილის შეძენას მილოცავდნენ. 1967 წლის 10 ივნისის ღამის 12 საათი ხდებოდა. ღამის მატარებლით თელავის გზას გავუდექი...

22 წლის წინანდელი ამბავი გუშინდელივით მახსოვს და ამიტომაც ვერ ვუჯერებ ინსპექციის მუშაკებს. ამირან კაჭახიძე კიდევ ერთხელ ამიწერს საზღვრის მიმართულებას, მერე ინსპექციის ჯიხურის უკან ბორცვზე ავდივარ, ზევიდან გადმოვყურებ წითელი ხიდის შემოგარენს და დაზაფრულნი ვანგარიშობთ:

**1967 წელთან შედარებით, საზღვრის გადმოტანით ახალ მიჯნაზე, აზერბაიჯანის მხარეს აღმოჩნდა 300 ჰექტარი ხეხილის ბაღებისა და ვენახებისა.**

აფერუმ ჩვენს ვაჟკაცობას! ნუთუ ვერავინ დაინახა ეს სასაზღვრო მანიპულაციები!? მარტო მარნეულის რაიონის ხელმძღვანელობა გაბედავდა ვითომ ამ საქმის მოკვარახჭინებას?! იქნებ უფრო დიდმა ხელმძღვანელებმაც შეამჩნიეს, მაგრამ ღირდა კი მეზობლის წყენინება?! ჩვენ, ქართველები, ხომ ინტერნაციონალისტები ვართ, რა მნიშვნელობა აქვს სამასიოდ ჰექტარი ქვემო ქართლის მიწისა საზღვრის გაღმა იქნება თუ გამოღმა!?

ნირწამხდარებს გვიჭირის ხმის ამოღება. ინსპექციის მუშაკებმა გვითხრეს ჩვენ ახალ ბედოვლათობასაც გაჩვენებთო.

წითელი ხიდის გამოვლით შემოდის საქართველოში ცენტრალური გზა აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან. წითელი ხიდის გამოვლით შემოდიან ქვემო ქართლში ნოყიერ მიწებს დახარბებული ახალმოსახლენი. გზა და ხიდი ვერაა სათანადო და აი, კიდევ ერთი „შორსგამიზნული" სტრატეგიული გადაწყვეტა საკითხისა: წითელი ხიდის დასავლეთით, მისგან 800 მეტრის მოცილებით დაგეგმეთ და უკვე შენდება ახალი ხიდი. ამავე დროს გასწორდება გზის მონაკვეთი. რა თქმა უნდა, ინსპექციის ჯიხურიც, რომელიც გაჩუქებულ მიწებში შეჭრილი კონცხის წვერზეა, გადავა დასავლეთით ახალი ხიდის თავში და მისი აღმოსავლეთით მდებარე 80 ჰექტარიც მიემატება ადრე გაჩუქებულ თუ გაყიდულ სამასს და შაგრენის ტყავივით თვალსა და ხელს შუა შემოგველევა საქართველო.

**წითელი ხიდი კი აღმოჩნდება მეზობლის ტერიტორიაზე და სარესტავრაციო სამუშაოების ჩასატარებლად კაზახის რაიონისა და აზერბაიჯანის ხელმძღვანელთა ნებართვა დაგვჭირდება (როგორც ჯარეჯში ზერთუბანში შესასვლელად).** თუმცა აქ შეიძლება წინდახედულობა გამოვიჩინოთ და სანამ ახალ ხიდს **ავუშენებთ** მეზობლებს (რაღაც დროის მონაკვეთში აქ გავლილი 50 მანქანიდან მხოლოდ ორს ჰქონდა ჩვენი რესპუბლიკის სერია და ნომერი), ხელშეკრულება გავაფორმოთ, რომ საჭიროებისამებრ გაგვიშვან ხოლმე წითელ ხიდზე სამუშაოების ჩასატარებლად.(?!).

ისე კი, საოცარია, რა ხელაღებით, ქართული გულუხვობით ვიმეტებთ ტყეს, სახნავსა და სათესს სულ ახლახან აშენებული გზების მიხვეულ-მოხვეულების გასასწორებლად. (გასულ კვირას თელავში ვიყავით და გულს შემოგვეყარა; თურდოს ხევის გასწვრივ ახლად გაყვანილი გზის სულ მცირე მოსახვევებიც გაუსწორებიათ, ასწლოვანი ხეები ამოუძირკვავთ, მთის ფერდობები გადაუჭრიათ და დიდებული ტყე დაუჩეხიათ. მომავალში ციცაბო ფერდობებზე მეწყერი დაიძვრება და მერე ალბათ ბუნების სტიქიას დავაბრალებთ ჩვენს შორსგაუხედაობას. ან წყალში გადაყრილი თანხები არ გვენანება?!.

გზები ბევრგან არ გვივარგა. აქ მდინარე ხრამის ხიდთან ბევრად უკეთესი გზაა, ვიდრე რესპუბლიკის ბევრ სხვა რეგიონში. ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონებიდან დედაქალაქისაკენ მომავალ გზას პირობითად შეიძლება გზა ვუწოდოთ. თითქოს განგებ, სპეციალურად ვიქცევით ჯავახეთს. სამაგიეროდ კარგი გზებია ახალქალაქიდან და ბოგდანოვკიდან სომხეთის მიმართულებით. საქართველოს მოლიავებულ სამხრეთ კარიბჭესთან მდგომ სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს გამოვემშვიდობეთ და თბილისისაკენ გამოვწიეთ.

ინსპექციის ჯიხურიდან ე. ი. საზღვრიდან მე–5 კილომეტრზეა პირველი სოფ. ქესალო. საინტერესო დეტალს მივაქციეთ ყურადღება: სოფლის აღმნიშვნელ წარწერამდე (საიდანაც იწყებოდა და უნდა იწყებოდეს სოფელი) ახალი ორსართულიანი სახლები აუშენებიათ.

სოფლის ძველ საზღვრებში რომ ვერ ჩატეულან, თამამად აუთვისებიათ ახალი მიწები. სახლები ცარიელია. შემდეგ სოფლებია: კაპანახჩი, იალმაზლო, კეშალო. სოფლების ირგვლივ ყველგან ახლადაშენებული დიდი სახლებია. სოფ. ალგეთში გვითხრეს, უკანონოდ აშენებულ სახლებს რომ ამოწმებენ, ეშინიათ და მაგ ახალ სახლებში ჯერ-ჯერობით ჩასახლებას ვერ ბედავენო. არადა ასეთი სახლები ბევრია.

იქნებ შეგვეძინა სტიქიით დაზარალებული სვანების, ზემო იმერლებისა და აჭარლებისათვის ეს ახალი სახლები?

ხასიათწამხდარები თბილისში ისე ჩამოვედით, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია.

მთელი გზა მურმანის სტრიქონები მიტრიალებდა თავში: „ეს სოფლები, ეს ლიქოკი, ეს არხოტი ცარიელია ეს პარტახი საიგავო, მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!".

ისე კი დაუკავებიათ და ეგ არის! ზოგიერთს კიდეც რომ ეწყინოს უნდა ვთქვა: — **გაუყიდიათ საქართველო.**

**ნოდარ კუჭავა,**
**სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების დირექტორი.**

**წერილები „ახალგაზრდა ივერიელს"**

## საქართველოს გახარება ჩვენი გახარებაა

მე საქართველოში დავიბადე, საქართველოში გავიზარდე. ეროვნებით აზერბაიჯანელი ვარ, მაგრამ საქართველო ისევე მიყვარს, როგორც ქართველს და შვილებსაც ამ სიყვარულით ვზრდი.

25 წელია ვმუშაობ კავშირგაბმულობის სამინისტროში. ჩემი სამუშაო რაიონი მთაწმინდაა. მთაწმინდაა ჩემი უსაყვარლესი ადგილი თავისი პანთეონით, თავისი არაჩვეულებრივი ქართული ოჯახებით, რომელთა სახლის კარი ჩემთვის ყოველთვის ღიაა, მე იქ შევდივარ არა როგორც უცხო ან სტუმარი, არამედ, როგორც ერთგული მეგობარი და ნათესავი. იქ მე ყველანი ქართველ აზერბაიჯანელს მეძახიან.

ათეული წლების მანძილზე ჩემთვის არც ერთ ქართველს არც სამსახურში, არც სამუშაო უბანზე არაფერი უწყენინებია, არ უგრძნობინებია, რომ მე ქართველი არა ვარ, რომ უცხო ვარ მათთვის, ყოველთვის სითბო და პატივისცემა მიმიღია.

მიკვირს და აღმაშფოთებს საქართველოს ფრთებს ამოფარებული ზოგიერთი იმ სხვა ეროვნების ადამიანთა უმადურობა, რომლებიც საქართველოს კეთილ გულს, მადლობის მაგივრად, ბოროტებით პასუხობენ. ბევრს ვფიქრობ და ვერ გამიგია, რა უნდათ მათ, რისკენ ისწრაფვიან? ნუთუ 9 აპრილმა ვერ დაარწმუნა ისინი იმაში, რომ ქვეყნად არ არსებობს ძალა, რომელსაც ქართველი ქართველობის შელახვას აპატიებს, რომ არ არსებობს ძალა, ქართველი უგუნური მტრის წინაშე დააჩოქოს, რომ საქართველო არავის ერჩის.

მე, აზერბაიჯანელი კაცი და ჩემი სალად მოაზროვნე მეგობარნათესავები პროტესტს ვუცხადებთ ინტერფრონტის შემქმნელ ბოროტ ძალას, ვუერთდებით თქვენს დიდ ეროვნულ მოძრაობას და ქართველებთან ერთად მოუთმენლად ველოდებით თავისუფალი საქართველოს მეორედ დაბადების დღეს.

ჩვენ თქვენთან ვართ, ქართველო ძმებო, ბოლოს და ბოლოს გაიგოს ყველამ და უფრო მეტად კი მტერმა, რომ ქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერება თავისუფლებაა და რომ ეს ბედნიერება მარტო ქართველისათვის კი არა, საქართველოში მცხოვრები სხვა ერების ადამიანებისთვისაც მოდის.

საქართველოს გახარება ჩვენი გახარებაც იქნება.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მისი მადლიან მიწაზე, მისი კეთილი ცისქვეშ მცხოვრებ ყველა ერების ადამიანთა ერთიანობას.

**ჟარამან შავერდოვი.**
**მცხეთის რაიონი, სოფელი აგარაკი.**

## ინტერფრონტი არახალია

გაზეთ „კომუნისტის" 1921 წლის 3 მარტის ნომერში დაბეჭდილია წერილი „რუსთა ეროვნული საბჭო", რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ (წერილის სტილი დაცულია).

„თფილისის რევკომმა 28 თებერვლის სხდომაზე მოიწონა და ნება დართო გამოექვეყნებინათ შემდეგი რუსთა ეროვნული საბჭოს ცნობა: „საქართველოში ნაციონალურ ტენდენციების ბატონობისა და ნაციონალობის მიხედვით რესპუბლიკის დემოკრატიის დალაგების დროს საქართველოში მყოფმა რუსმა მოქალაქეებმა დააარსეს სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად რუსთა ეროვნული საბჭო. დღეს კი, როდესაც ძალაუფლება გადავიდა ახალ მთავრობის ხელში, რომელიც ქმნის მმართველობის ახალ საფუძველზე და იძლევა ერთათვის კანონის წინაშე თანასწორობის გარანტიას, საბჭოს არსებობას მომავალში მნიშვნელობა აღარა აქვს: ამისდამიხედვით რუსთა საბჭომ და გამგეობამ 25 თებერვლის სხდომაზე დაადგინა: საქართველოში არსებული ეროვნული საბჭო დაიხუროს".

წერილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროსაც იყვნენ სხვადასხვა ერების ისეთი წარმომადგენლები, რომლებსაც არ მოსწონდათ აქ მიმდინარე სასიკეთო პროცესები, კერძოდ ის, რომ, როგორც „ახალგაზრდა ივერიელის" 19 აპრილის ნომერშია აღნიშნული, საქართველოში სასტიკად ებრძოდნენ „ყველას, ვინც საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ილაშქრებს და ძირს უთხრის ჩვენ დამოუკიდებლობას და დემოკრატიულ თავისუფლებას". ყოველივე ამას ისინი უპირისპირებდნენ „რუსთა ეროვნულ საბჭოს". სამწუხაროდ, მათი „მოღვაწეობის" ამსახველი დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ მიზანი ნათელია.

როგორ ჰგავს ყოველივე ზემოთ აღნიშნული დღევანდელობას.

**ბესიკ ხაბაძე,**
**თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი.**

**„ახალგაზრდა ივერიელის" ფოსტიდან**

## ჩვენი საქმიანობა

**საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება 1959 წელს შეიქმნა. მისი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მდებარე ქართული კულტურის ძეგლთა გამოვლენას, აღრიცხვას, მეცნიერულ შესწავლას, აღდგენა-გამაგრებას და დაცვას, მოსახლეობაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების ფართო პროპაგანდას... აქტიურად ჩააბას საზოგადოებრიობა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში, წარმართოს დაწესებულება-ორგანიზაციებთან საშეფო მუშაობა და მეცნიერულ-პრაქტიკული საქმიანობა...**

**თავდაპირველად საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ასე თუ ისე ასრულებდა იმ მისიას, რისთვისაც ის იყო მოწოდებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც შეიქმნა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო (1978) და ამ სამმართველოს უფროსი ბატონი ირაკლი ციციშვილი ამავე დროს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს, საზოგადოება ფაქტობრივად იქცა ამ სამმართველოს რაღაც უფუნქციო დანამატად. სწორედ ამის თაობაზე მოგითხრობთ.**

შევეცდები ნაწილობრივ მაინც გავაცნო ფართო საზოგადოებრიობას (იხილე: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წესდება ...)

...

1964 წლიდან საზოგადოებამ დაიწყო კრებულ — „ძეგლის მეგობრის" გამოცემა. იგი იყო ქა- ...

... საყურადღებოა, ერთი გარემოებაც. ბატონმა გივი პაპალაშვილმა საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში მოაწყო გამოფენა (შემდეგ, ალბათ, ასპარეზი ეპატარავა ...

# მძიმე არს ტვირთი ერისკაცობის

## ანუ

## რამდენიმე სურათი ერთი საზოგადოების ცხოვრებიდან

რთული ხალხური ყოფისა და ხუროთმოძღვრების — ღია ცის ქვეშ მუზეუმის ორგანიზატორი. ალბათ, ამიტომაც, ჩამოდიოდნენ სხვა რესპუბლიკებიდან, სწავლობდნენ საზოგადოების მუ- ...

და კანადაში გადაინაცვლა. ჰოი, საკვირველებავ? ძეგლთა დაცვის საზოგადოების წარმოებას რა აქვს კანადაში გამოსაფენი. როცა მისი გამოშვებული მილიონობით მანეთის პროდუქცია ჩვენთან სა- ...

...

# სამუდამოდ დამკვიდრდეს!

**დებულებები**, რომლებსაც ამ წერილში გაეცნობით, თეზისების სახით იყო ჩამოყალიბებული გაზეთ „თბილისში" (16-04-90 წ.). ამჯერად სრული სახით გთავაზობთ ჩემს მოსაზრებებს:

26 მაისს ქართველი ერი კიდევ ერთხელ იზეიმებს საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას. ამავე დღეს აღინიშნება საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადებიდან 51-ე წლისთავი.

საქართველოში ყოველთვის იყო ცრემლისა და ღიმილის ნაზავის, სხვათათვის აუხსნელი ფენომენით გათავისებისა და გადატანის ტრადიციული რიტუალები, რომლებიც ჩვენდა სამაყოდ დღესაც თავისი წესით სრულდება მთაში. აუცილებელია, აქ გარდაცვლილ მამულიშვილთ, ტრადიციულად ქართულად ავგოთ წესი. ცნობილია, რომ ჩვენს მთიანეთში გარ- დაცვლილთა მოსაგონებლად დოლს მართავდნენ.

26 მაისს მიტინგისა და მსვლელობის შემდეგ უნდა ჩატარდეს, შემდეგ კი სამუდამოდ დამკვიდრდეს წარსულის ნაღვლის იმედიანი ყიჟინით გაცილების წესი — დოლი.

დაუყოვნებლივ უნდა შედგეს საორგანიზაციო ჯგუფი, რომელიც გადაჭრის ყველა წამოჭრილ პრობლემას და წარმოგვიდგენს პროგრამას. აუცილებელია გაკეთდეს სათანადო რეკლამა და დარიგდეს მოსაწვევები.

დოლში მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ, როგორც წმინდა, ისე შერეული ჯიშის ბედაურებს და, როგორც პროფესიონალ, ისე მოყვარულ მხედრებს, საგანგებოდ უნდა იქნენ მოწვეულნი კავკასიურ-იბერიული რასის მხედრობით განთქმული ჩვენი ჩრდილოკავკასიელი მეზობლები.

დოლში გამარჯვებულთ მიეცემათ უფლება კავკასიის ჩემპიონის ტიტულის ტარებისა.

გამარჯვებულთათვის დაწესდეს საგანგებო საჩუქრები (მაგალითისათვის ჩეჩნეთ-ინგუშეთში წელიწადში ერთხელ იმართება დიდი დოლი, სადაც გამარჯვებულს გადაეცემა 24 მარკის ავტომობილით ასაჩუქრებენ).

ეცნობოს გაეროს და ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციას ამ ღონისძიების ჩატარების თარიღი და მნიშვნელობა. ეთხოვოს მათ მეთვალყურის ფუნქციით ჩამოსვლა. ეჭვი არ გვეპარება, რომ გამოჩნდებიან ღვთისნიერი ადამიანები, რომლებიც თავიანთ შესაძლებლობებს და ენერგიას არ დაიშურებენ ამ მამულიშვილური საქმის განსახორციელებლად.

მოგმართავთ თხოვნით ჩვენი ერის ბედ-იღბალით შეწუხებულ ყველა პარტიასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რათა გონების თვალი გადაავლოთ ჩემს წინადადებას და მხარი დაუჭიროთ ამ შესანიშნავ საქმეს.

**ზაალ კასრელიშვილი**

**ეროვნული ფორუმის სახელით: საქართველოს ეროვნული ფორუმი მიესალმება ბატონ ზაალ კასრელიშვილის წერილში გამოთქმულ მეტად საყურადღებო მოსაზრებებს. მიგვაჩნია, რომ კავკასიის პირველობის ჩატარება ცხენოსნობაში დიდად ხელს შეუწყობს ქართული სპორტის ინტერესებს.**

**მოვუწოდებთ ქართველ საზოგადოებრიობას მხარი დაუჭირონ ამ შესანიშნავ წინადადებას.**

**ირაკლი წერეთელი, აკაკი ასათიანი, თემურ ჟორჟოლიანი, თენგიზ შარმანაშვილი, თენგიზ გაჩეჩილაძე, ზვიად ბოკუჩავა, გურამ პეტრიაშვილი, რუსლან მიქაბერიძე, თეიმურაზ ხუჩბაროვი, თენგიზ ქიტოვანი, გია ჭანტურია, თედო პაატაშვილი, გურამ გოგბაიძე, თორნიკე ფიფია, იოსებ ბარათაშვილი.**

## პოლემიკური შენიშვნა

# დერეფნიდან დანახული კომკავშირის ყრილობა

**ცენტრალურ პრესაში უკვე გამოქვეყნდა კომკავშირის XXI ყრილობის მსვლელობის ოფიციალური ანგარიში. ჩვენ კი, არატრადიციულად, მკითხველს ვთავაზობთ ახალგაზრდა ჟურნალისტის ი. სოლგანიკის პოლემიკურ შენიშვნებს, რომელიც, ბუნებრივია, მხოლოდ კორესპონდენტის თვალსაზრისს გამოხატავს.**

კომკავშირის XXI ყრილობაზე შემთხვევით მოხვედრილმა ფრანგმა ჟურნალისტებმა, ორი ღერი რუსული რომ არ იცოდნენ, ყრილობიდან სამი დასკვნა გამოიტანეს: რომ კომკავშირის ძირითად საბრძოლო პოტენციალს არც მთლად ნორჩი მამაკაცები წარმოადგენენ (ყრილობის დელეგატთა რკვა, 2000 ნარჩევი კომკავშირელიდან 500 უგზოუკვლოდ მიიმალა; მათგან 315 კაცი ყრილობაზე ორი დღით და მეტ ხანსაც არ გამოჩენილა. გამოითქვა ეჭვი, რომ რჩეული კომკავშირელების კვალი „გუმის", „ცუმისა", და სასურსათო მაღაზიებისაკენ მიდის...

...

ყრილობამ აგრეთვე განაცხადა, რომ ის პარტიისაგან დამოუკიდებელია. მაგრამ, რამდენადაც მისი დელეგატების 78,-3% პარტიის წევრები, ან წევრობის კანდიდატები არიან, წესდებით კი მათ ევალებათ პარტიის პოლიტიკის გატარება და დამოუკიდებლებიც შეუძლებელია რომ იყვნენ.

კომკავშირმა თავი „სოციალისტური არჩევანის ორგანიზაციად" გამოაცხადა, სახელწოდება კი ისეთი შეირჩია, თითქოს ერთდროულად ორი არჩევანი გაეკეთებინოს — სოციალისტური და კომუნისტური (ახალგაზრდობის კომუნისტური და სოციალისტური კავშირების ფედერაცია).

და ბოლოს, უკანასკნელი პარადოქსი. ყრილობის დეკლარაციით თუ ვიმსჯელებთ, კომკავშირს სურს იყოს დემოკრატიული, ბიუროკრატიისაგან თავისუფალი ორგანიზაცია და მიზნებიც უკეთილშობილესი აქვს — ახალგაზრდის პიროვნების განვითარება, თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეალები.

მაგრამ, ამავე დროს, ახალი პროგრამა და წესდება პრინციპულად არაფერს ცვლის: კომკავშირი დარჩა ცენტრალიზებულ ...

...



## საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. გ. ა. გუმბარიძეს

## საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ვ. ვ. ცხოვრებაშვილს

## საქართველოს სახალხო განათლების მინისტრს ამხ. გ. ა. ენუქიძეს

## სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს პროფ. ლ. ა. ჩიბიროვს

წლების განმავლობაში ჩვენი პედაგოგიური ინსტიტუტის კედლებში ისევე, როგორც მთელ ოლქში, მრავალჯერ ჰქონდა ადგილი ქართველი ხალხის შევიწროებისა და შეურაცხყოფის ფაქტებს. ჩვენ ამას მოთმინებით ვიტანდით, რათა ბზარი არ გასჩენოდა ქართველი და ოსი ხალხის საუკუნეობრივ მეგობრობას, მაგრამ ეს იყო ცალმხრივი, რაც გამოვლინდა იმაში, რომ ოსი საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მიერ არაერთხელ შეილახა ქართველი ხალხის ინტერესები (ამის ბოლო აკორდი იყო ამა წლის 9 აპრილს ცხინვალში მომხდარი სამარცხვინო აქცია).

ამჟამად ჩვენთვის ცნობილი გახდა ...

...

ბის (ქიმია-ბიოლოგიის, ფიზიკა-მათემატიკის და სხვა) აღდგენისა.

აღსანიშნავია, რომ ეს ფაკულტეტები ინსტიტუტის შექმნის პირველი დღიდანვე არსებობდა, მაგრამ შეკვეცეს და მათ ხარჯზე გახსნეს ოსური და რუსული ფაკულტეტები, რომლის წინააღმდეგი არც ადრე ვყოფილვართ და არც ახლა ვართ.

ამასთანავე დავძენთ, რომ ქართულ განყოფილებაზე მომუშავე ოსი ლექტორები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდია, განზე დგანან და არ ერევიან ამ მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტაში.

მიგვაჩნია, რომ მათი უშუალო მოვალეობაა, ამ სიტუაციაში გვერდით დაგვიდგნენ და გამოავლინონ თავიანთი პოზიცია. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ, ჩვენ ვთვლით, რომ მათ არა აქვთ არც იურიდიული და არც მორალური უფლება ქართულ განყოფილებაზე ლექციების წაკითხვისა.

ოსი საზოგადოების ამგვარ წინააღმდეგობას ჩვენს ინსტიტუტში ...

...

თუ ისინი კვლავ გააგრძელებენ ამგვარ გამოხდომებს, ვიტოვებთ უფლებას, დავსვათ საკითხი, რომ ქართული ფაკულტეტები გამოეყოს ოსურ-რუსულს და შეიქმნას დამოუკიდებელი ინსტიტუტი.

**ქართველ სტუდენტთა სახელით საგაფიცვო კომიტეტი.**

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, საწარმო-დაწესებულებებს

ვილნიუსისა და მოსკოვის ურთიერთობა სულ უფრო კონფრონტაციული ხდება. ცენტრი დაადგა ლიტვის რესპუბლიკის აღდგენილი დამოუკიდებლობის ალკვეთის გზას, აამოქმედა ყოვლისმომცველი ეკონომიკური ბლოკადის მექანიზმი. ესაა იმ წინააღმდეგობის ნათელი გამოხატულება, რომელსაც საბჭოთა კავშირის ხელისუფლება იჩენს იმპერიულ სახელმწიფოში მცხოვრებ ერთა თვითგამორკვევისაკენ ლტოლვისადმი. ამავე დროს ეს წინააღმდეგობა ყოველ — ამ შემთხვევაში ლიტველ — ერს შესაძლებელია გაეწიოს სხვა, თანასწორი ერების საშუალებით. დღეს ლიტვა, ხვალ — ესტონეთი, ლატვია ან საქართველო...

ამრიგად, საქართველო სერიოზული საფრთხის წინაშე დგას — იგი შეიძლება ლიტვის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჩახშობის თანამონაწილედ აქციონ. ამიტომ უაცილებლად მიგვაჩნია:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მტკიცე, კატეგორიული უარი განაცხადოს ლიტვის რესპუბლიკის ეკონომიკურ ბლოკადაში საქართველოს მონაწილეობაზე, თანმიმდევრულად გააგრძელოს ყველა არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის ლიტვისადმი მიწოდება; პერიოდულად აცნობოს საზოგადოებრიობას საქართველო — ლიტვის ეკონომიკურ ურთიერთობებში არსებული ოპერატიული მდგომარეობის შესახებ; ცენტრთან გართულების შემთხვევაში მხარდაჭერისათვის მიმართოს საქართველოს ფართო საზოგადოებრიობას.

2. საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა, საზოგადოებრივმა გაერთიანებებმა, საწარმო-დაწესებულებებმა გამონახონ ლიტვისადმი კონკრეტული საქმიანი დახმარების ფორმები; მოსთხოვონ საქართველოს ოფიციალურ ხელისუფლებას სისტემატური ინფორმაცია საქართველო-ლიტვის ეკონომიკურ ურთიერთობათა ოპერატიული მდგომარეობის შესახებ.

ჩვენი ღრმა რწმენით, ამ საკითხისადმი თავიანთი პრინციპული დამოკიდებულება უნდა გამოხატონ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა.

მოვუწოდებთ, აგრეთვე სსრკ სახალხო დეპუტატებს, თავიანთი პოზიცია გამოთქვან სსრ კავშირის უზენაეს საბჭოში.

**საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

ეროვნული

## ჩვენი სადისკუსიო კლუბი

# კავკასიის სახლი — პოლიტიკური აუცილებლობა

ქვემოთმოცემულ წერილში არ შევჩერდები კავკასიის მთლიანობის აღდგენის ეთნიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ და სხვა საწინდართა შესახებ. შევეცდები დავასაბუთო კავკასიის მთლიანობის აღორძინებისა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესის ურთიერთკავშირი.

ნებისმიერი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება ძირშივე მცდარია, თუ არ გამოვედით გლობალური პოლიტიკის ძირეული პრინციპებიდან და მსოფლიოში დღეს-დღეობით მიმდინარე ზეაჩქარებული ცვლილებებიდან.

რა პოლიტიკური ძალებია დღეს მსოფლიოში? რა იდეოლოგიური ცვლილებები მიმდინარეობს? რას ნიშნავს „ახალი პოლიტიკური აზროვნება“? რას წარმოადგენს „ახალი ეპოქის დასაწყისი ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში“? მართვადია თუ არა გლობალური პოლიტიკა? ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ ნათლად გამოიკვეთება კავკასიის სახლის მშენებლობის პოლიტიკური აუცილებლობა, რაც თავის მხრივ, საფუძველია კავკასიის, როგორც ერთიანი პოლიტიკური რეგიონის, სტატუსის ჩამოყალიბებისათვის.

წარმმართველ პოლიტიკურ ძალთა შესახებ ვიმსჯელოთ პოლიტიკური ფიზიოლოგიის ანუ გაბატონებულ იდეათა და ძირითად მსოფლმხედველობით ღერძთა თვალსაწიერიდან.

ორი უძველესი ძალა — ადამიანური ბუნების სიღრმისეული არსის საზოგადოებრივი გამოხატულება — კონსერვატიზმი (ტრადიციების, ეროვნულ და მორალურ ფასეულობათა დაცვა, აპელაცია წარსულისადმი) და რადიკალიზმი (არსებულისადმი მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება) ადამიანები ისეთი სულელები არიან, რომ ძალით უნდა ათრიო ბედნიერებისაკენ“ ვ. გ. ბელინსკი.

დღესდღეობით უპირატესობა მსოფლიოში კონსერვატორებს ეკუთვნით, გამომდინარე ტექნოცენტრიული განვითარების კრიზისიდან, ქრისტიანული მორალის უგულვებელყოფიდან, ინტერნაციონალიზმიდან და კერპთაყვანისმცემლობიდან, ფაშიზმის, რასიზმის, კომუნიზმის იდეალების პროპაგანდირებიდან, ღვთის, როგორც უმაღლესი ფასეულობისა, და ადამიანის, როგორც ღმერთის უმაღლესი იდეის, უარყოფიდან.

ძირითად პოლიტიკურ ძალათა თანაფარდობა დღესდღეობით ასეთია: კონსერვატიზმის მომხრეებს (რესპუბლიკური პარტია — აშშ; კონსერვატიული პარტია — დიდი ბრიტანეთი; ქრისტიან-დემოკრატიული პარტია — გფრ.; ლიბერალ-დემოკრატიული პარტია — იაპონია; ქრისტიან-დემოკრატიული პარტია — იტალია; პოლიტ. დაჯგუფება „ლიკუდ“ — ისრაელი და სხვა) მყარად უპყრიათ ხელისუფლების სადავეები.

რადიკალები, თანამედროვე გაგებით, სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური და სხვა მემარცხენე პარტიები, პოლიტიკური გაკოტრების საფრთხის წინაშე დგანან, ვინაიდან მათი რეფორმისტული მსოფლმხედველობა ბუნებრივი ევოლუციის გაგებიდან, ხშირ შემთხვევაში, ამოვარდნილია და პოლიტიკურ მექანიციზმს (საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის მატერიალისტურ სქემებს) ემყარება.

საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ ძალთა დახარისხება მსგავსი სქემით საკმაოდ ძნელია, ვინაიდან კონსერვატორი — ორთოდოქსალ-კომუნისტად იგულისხმება, ხოლო რადიკალი — არსებულის შემცვლელად. უნდა გაიცეს პასუხი კითხვაზე — ვის როგორ სურს არსებულის ცვლილება და მხოლოდ აქედან გამომდინარე შეიძლება დღეს არსებული პოლიტიკური ძალების მსოფლიოში მიღებული მსოფლმხედველობრივი მიმდინარეობებისადმი მიკუთვნება.

მსოფლიოში მიმდინარე იდეოლოგიურ სისტემათა დაახლოების პროცესის მიზეზი მოახლოებული გლობალური კატასტროფისადმი (ეკოლოგიური და სამხედრო საფრთხე. რელიგიური ფუნდამენტალიზმი) წინააღმდეგობის გაწევაა.

მსოფლიოში არსებობდა სტაბილური სიტუაცია, რაც განპირობებული გახლდათ ორი სუპერსახელმწიფოს (აშშ. სსრკ) მიერ შექმნილი სამხედრო დაჯგუფებებით. (ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნები, ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია NATO). ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა დეიდეოლოგიზაციამ (რაც დაიწყო 60-იანი წლებიდან) განაპირობა შემდგომში ამ ქვეყნებში ეკონომიკის ღრმა და მთლიანობაში კი კომუნისტური სისტემის ტოტალური კრიზისი. კრიზისიდან ორი გამოსავალი არსებობს: ან არსებულის უსწრაფესი დარღვევა (რაც ამ შემთხვევაში მესამე მსოფლიო ომის ტოლფასი გახლავთ, ან არსებულის ეტაპობრივი შეცვლა (ჩვენს შემთხვევაში საბჭოური „პერესტროიკა“). მსოფლიოს სტაბილური სტატუს ქვოს აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ სუპერსახელმწიფოთა სამხედრო დაპირისპირების მოსპობით, სახელმწიფოთა საზღვრების გადასინჯვითა და სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობათა შორის ძალისმიერ დაპირისპირებათა მოხსნით. ბ-ნი ჯ. ბუში ამ პროცესს უწოდებს „ახალი ერის დასაწყისს ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში“, ხოლო გორბაჩოვი — „ახალ პოლიტიკურ აზროვნებას“. ეს პროცესი მსოფლიო დესტაბილიზაციის პერიოდია, და მისი მართვა ურთულესია, თითქმის შეუძლებელი.

უძველესი დროიდან სახელმწიფოს შიგნითა და სახელმწიფოთა შორის პოლიტიკის ერთ-ერთ მარეგულირებელს მასონური ლოჟები წარმოადგენდნენ, ევროპაში არსებობდა და არსებობს ათეისტური ლოჟები („ფრანკმასონები“ მაგ. „Grang Orient“) და პროტესტანტულ-ქრისტიანულ-ანგლოსაქსონური. ევროპის კონფედერაციის იდეა (მისი ძველი სახელწოდებაა — ევროპის გაერთიანებული შტატები) მასონური წრეებიდან მომდინარეობს და მისი განხორციელება ჩვენი საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. თუმცა-და არსებობდა სხვა სურვილებიც: „მე მსურს, რომ ევროპის ხალხთა გაერთიანება და მშვიდობა მათ შორის ახდეს ქრისტეს სახელით“ ნ. ბერდიაევი. იმის გასარკვევად, თუ რა ძალები ახდენენ ევროპის კონფედერაციის შექმნას და რა პრინციპებზე იქნება ის აგებული, მოვიხმაროთ პოლიტიკური ანატომია ანუ პოლიტიკურ მოღვაწეთა სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა ეგო-ანალიზზე (პიროვნების ფსიქოლოგიური გამოკვლევა-შეფასება) დაყრდნობით. ჯ. ბუში შინაგანი არსით პრაგმატისტია, გამბედავი ადამიანი, რომელმაც კარგად იცის, თუ რა უნდა. „ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს, რათა დავაბანდოთ თანხები ამერიკის მომავლისათვის“ — ამბობს ბ-ნი პრეზიდენტი. მისი უძირითადესი მიზანი აშშ-ს სუპერსახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება გახლავთ მსოფლიო დესტაბილიზაციის დროს. რა თქმა უნდა, ამ მიზნის განხორციელება შეუძლებელია მეორე სუპერსახელმწიფოსთან, სსრკ-სთან, ერთიანი ტაქტიკის შემუშავების გარეშე. არც ჯ. ბუშს და არც მ. გორბაჩოვს არ აწყობთ ძლიერი ევროპა, რომელიც თავის თავს თავადვე მართავს. სწორედ ამის გამო სსრკ-მ უნდა დაუთმოს თავისი უზარმაზარი ბაზარი შეერთებულ შტატებს და დაიწყოს „ახალი ერა ჩვენი პლანეტის ცხოვრებაში“; ახალი ტექნოცენტრული დეშარში, რაც წარმოშობს (უკვე არსებობს კიდეც) ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და კომპანიებს დღევანდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და უკვე ეკონომიკური საშუალებებით „საბჭოთა ბაზარი“, „სოციალისტური ბაზარი“, „ერთობლივი საწარმოები“ და ა. შ.) ხელახლა შეკრავს საბჭოთა იმპერიის შემადგენელ ნაწილებს. აი, ეს გახლავთ ამერიკის სიძლიერის საბჭოური ქვაკუთხედი. ეს სტრატეგია შორს არის ევროპის გაერთიანებისას მორალურ ფასეულობათა აღორძინება-განმტკიცების გზისაგან, ვინაიდან უზარმაზარი კორპორაციების არსებობას ხელს უწყობს მძლავრი პოლიტიკური და ეკონომიკური მაფია, ეს უკანასკნელი კი სინდისთან, ზნეობასთან, თავისუფლებასთან მიმართებაში საკმაოდ მწყრალად არის.

ფ. მიტერანი — სოციალისტი, აქტიური მომხრე ევროპის შერწყმისა, სტრასბურგის შეხვედრაზე ევროპის კონფედერაციის საკუთარი მოდელითაც წარსდგა, მაგრამ მ. ტეტჩერმა ეს გეგმა არ გაიზიარა. მ. ტეტჩერი — კონსერვატორი, ბრიტანული ტრადიციების ერთგული, საკმაოდ ფრთხილად უყურებს ევროპის გაერთიანებას, ვინაიდან ბრიტანეთი ამ მოვლენისათვის მზად არ არის.

ჰ. კოლი — გერმანიის გაერთიანებისათვის ოსტატურად მომქმედი პოლიტიკოსი. ქრისტიან-დემოკრატი, რომელიც სტრასბურგის შეხვედრაზე გერმანიის გაერთიანების გეგმით უნდა გამოსულიყო, იძულებული გახდა ოვაციებით შეხვედროდა მიტერანის წინადადებას.

მ. გორბაჩოვი — კომუნისტი, რომელსაც კომუნისტური იდეალებისათვის აღარ სცხელა, ცდილობს ნებისმიერი საშუალებებით საბჭოთა კავშირის გადარჩენას, თუნდაც — ევროკონფედერაციაში შესვლით, მაგრამ...

პოლიტიკური ატმოსფერო მსოფლიოში, კერძოდ კი საბჭოთა კავშირში, უსწრაფესად ვითარდება. გერმანიის გაერთიანება საოცარი სიჩქარით მიმდინარეობს. ამის გამო დღის წესრიგში დადგა ცენტრალური ევროპის (პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია) კონფედერაციის, ბალკანეთის კონფედერაციის, ბალტიის კავშირის (ესტონეთი, ლიტვა, ლატვია) ჩამოყალიბების საკითხი, ეს ყველაფერი კი გლობალური პოლიტიკის თვისობრივ განახლებას თუ არა, კორექტურას მაინც მოითხოვს. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, თუ მოქმედება კონსტრუქციულია და მოვლენები ექსცესების გარეშე მიმდინარეობს, ვერავინ შეეცდება და ვერც შეძლებს შეაჩეროს ესა თუ ის პროცესი. პოლიტიკა თეორიის და პრაქტიკის მყარი კავშირია. ნებისმიერი პოლიტიკური გაანგარიშება, თუ ის პრაქტიკულად განუხორციელებელია, ფუჭია და უვარგისი, ხოლო ზოგჯერ საშიშიც, ვინაიდან ამა თუ იმ პოლიტიკური მოდელის შემქმნელთა ამბიციების (პიროვნებათა, პარტიათა, სახელმწიფოთა) ხორცშესხმის საფუძველი ხდება. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც პოლიტიკურ გადაწყვეტას საჭიროებს, რეალობიდან გამომდინარეობს და თავისი მნიშვნელობით მსოფლიოსთვის საჭირბოროტოა და ყოველი სქემის, გეგმისა თუ მოდელის, რომელიც არ ითვალისწინებდა ამ პრობლემის წამოჭრას და არც მისი გადაწყვეტის მეთოდი ჰქონდა მომზადებული, გადასინჯვასა და შესწორებას მოითხოვს. ასეთია, დღესდღეობით, გერმანიის გაერთიანების საკითხი გლობალური პოლიტიკისათვის და ამ მნიშვნელობას შეიძენს კავკასიის სახლის შექმნისათვის დაწყებული მოძრაობა.

ახლა გავარკვიოთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის კავკასიის სახლის არსებობას დღეს და მომავალში.

### 1. დღეს

კრემლის მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები კავკასიაში ნათლად მიუთითებს მოსკოვის გეოპოლიტიკის მიზანზე — კავკასიაში შექმნას დესტაბილური ვითარება, რითაც გამყარდება პარტოკრატიის პოზიციები და კავკასიის სხვადასხვა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს ხელი შეეშლება კონსტრუქციულ მოქმედებაში. კონსტრუქციულ მოქმედებაში ჩვენ ვგულისხმობთ საბჭოურ სისტემასთან არათანაბარზომადი სტრუქტურების შექმნას (მრავალპარტიული პარლამენტი, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა, დამოუკიდებელი კავშირები მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან და სხვა). უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საბჭოურ სისტემასთან მიმართებაში ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც საბჭოთა კავშირიდან, როგორც ასეთიდან, ამოვარდნილია, ეს კი კავკასიის სახლია, ვინაიდან არასამართლებრივი და არაბუნებრივია რაიმე კავშირის (ჩვენს შემთხვევაში საბჭოთა კავშირის) შიგნით სხვა კავშირის არსებობა, რომელიც თავისი შენებითა და იმანენტური მნიშვნელობით წინააღმდეგობაშია პირველთან და აქედან გამომდინარე არღვევს მას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კავკასიის სახლის არსებობა დღეს საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს არსებობის ტოლფასია. სწორედ ამიტომაც მოსკოვის მთელი ძალისხმევა მიმართულია კავკასიის სახელმწიფოთა შორის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ოსეთი, დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი და სხვა) ურთიერთობათა გამწვავებისაკენ.

საქართველოსთვის, ისევე როგორც კავკასიის სხვა დაპყრობილი სახელმწიფოებისათვის, კავკასიის სახლის შექმნა ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისაკენ, ვინაიდან დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესში კეთილმეზობლური თანამშრომლობა და შეთანხმებული სამოქმედო პროგრამა მიზნის მიღწევის უეჭველი საწინდარია.

რას ვგულისხმობთ კავკასიის სახლში? ეს არის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება კავკასიის სახელმწიფოთა შორის, როგორც თანაბარუფლებიანი სუვერენული სუბიექტებისა, კავკასიის საერთო ბაზარი, რაც ბუნებრივი (კავკასიისათვის დამახასიათებელი) ეკონომიკური კავშირურთიერთობების საფუძველია; ერთიანი სამხედრო დოქტრინის არსებობა, რაც კავკასიის უშიშროების გარანტიაა, საქართველოს საელჩოების გახსნა სომხეთში, აზერბაიჯანში, კავკასიის სხვა სახელმწიფოებში და პირიქით, კულტურულ ურთიერთობათა აღორძინება, ერთობლივ სპორტულ ღონისძიებათა მოწყობა (მაგ.: კავკასიის თასის გათამაშება სპორტის რომელიმე სახეობაში) და სხვა.

ამგვარად კავკასიის სახლის შექმნისათვის მოძრაობის დაწყება დღეიდანვე, საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის უზრუნველყოფას წარმოადგენს.

### 2. ხვალ

საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა მისი გეოპოლიტიკის განმაპირობებელია, გამომდინარე ამ მოსაზრებიდან, კავკასიის სახლის არსებობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტიაა. ასე იყო დავით აღმაშენებლის დროს, ასე იქნება მომავალში. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მცდარმა გეოპოლიტიკამ საქართველოს ანექსია გამოიწვია. ეს შეცდომა კი კავკასიის სახელმწიფოებთან კონფრონტაციაში გამოიხატებოდა. საფუძველი ამისა კი ევროპის მხრიდან მხარდაჭერის იმედი იყო. ისევე, როგორც სულხან-საბას დროს, 1918-21 წლებშიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ამგვარმა იმედმა ვერ გაამართლა, ორივე შემთხვევაში ევროპის მხარდაჭერის მოლოდინში რუსეთმა დაგვიპყრო.

საქართველოს საბჭოთა ფედერაციაში შესვლა (თუნდაც კონფედერაციაში), შემდეგ ევროკონფედერაციაში გაერთიანება საბჭოური ფედერაციის საშუალებით და ბოლოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ეს ჰკუამახვილური პოლიტიკური ტაქტიკა არ არის.

საქართველოს მოსაზღვრე მაჰმადიანურ ქვეყნებთან (თურქეთი, ისლამური ფუნდამენტალიზმის მედროშე — ირანი) მუდამ უწევდა და მოუწევს ქიშპი, ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, გამოსავალი ამ ვითარებიდან ერთადერთია — არა ევროპის იმედზე ყოფნა, არამედ ძლიერი კავკასიური სახლის შექმნა, რაც მსოფლიოსათვის ახალი, კავკასიური ტალღის დასაწყისად უნდა გადაიქცეს საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. კავკასიის სახლის შექმნა პოლიტიკური აუცილებლობაა, რომელიც საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას უზრუნველყოფს და დამოუკიდებელი საქართველოს სიძლიერის საფუძველი იქნება მომავალში.

**ზურა მაისურაძე,**
**საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის დირექტორატის წევრი.**

ჩვენი სადისკუსიო კლუბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიჭი მოვლა-პატრონობისა

## მუსიკალური დარგის მმართველობის ნაკლოვანებების შესახებ

**საქართველოს** დღეს უჭირს, მრავალი ჭრილობა აქვს მოსაშუშებელი. ასეთ ყოფაში მყოფთ უფრო მეტად გვევალება ფხიზელი თვალით გადავხედოთ წარსულს, უკუვაგდოთ მანკიერებანი, ვფიქრობთ მომავალზე, თუ გვინდა, ვიცხოვროთ თავისუფალ ქვეყანაში, პირველ რიგში საკუთარ თავს უნდა მოვკითხოთ, რამდენად ვუპასუხებთ დღევანდელი დღის მოთხოვნებს, რამდენად ვუახლოვდებით მიზანს. როცა ქვეყანას სამართლებრივი, დემოგრაფიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური პრობლემები აქვს გადასაჭრელი, ძნელია განსხვავებულ თემებზე საუბარი. თუ ჩვენი საზოგადოება ისწრაფვის სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრებისაკენ და იღვწის ჰუმანიზმისათვის, მაშინ აუცილებელ და გადაუდებელ საქმედ უნდა იქცეს კულტურის დარგის სადღეისო კონცეფციის შემუშავება, სიმართლის თქმა, რომელიც არამხოლოდ მოძველებულის მსხვრევას მოითხოვს, არამედ ცხოვრების აღორძინების იდეითაც იქნება ნასაზრდოები.

ორი-სამი წლის წინათ ჩვენი მუსიკალური ყოფის ირგვლივ მწვავე კამათი გაიმართა, რაც აისახა კიდეც რესპუბლიკურ თუ საკავშირო პრესაში. გაჩნდა ორი, სრულიად განსხვავებული აზრი. მართალია, ამბობენ, კამათში იბადება ჭეშმარიტებაო, მაგრამ ამ შემთხვევაში მე გოეთეს მივემხრობი: „არა, ორ განსხვავებულ აზრს შორის დევს პრობლემა“. დიახ! ჩვენი მუსიკალური ყოფა სავსეა პრობლემებით და სწორედ ამან განაპირობა პრესის ფურცლებზე აზრთა შეპირისპირება. საქმე ისაა, რომ მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობის გამომზეურებით საქმეს არ ეშველება. მთავარია პრობლემის წარმოშობის მიზეზების მოძიება. მუსიკალურ ყოფაში პრობლემათა წარმოშობის ერთ-ერთი სათავეა მუსიკალური დარგის მმართველობის დეფორმირებული სახეები და მის სისტემასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები.

საქმის სათავეში რომ კვალიფიციური სპეციალისტი უნდა იდგეს, რომელსაც არ აკლია არც ნიჭი და არც შრომისუნარიანობა, აქსიომაა. თუ ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მუსიკალურ ორგანიზაციებს მართავენ შემოქმედნი, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ თავიანთ პროფესიაში, მაგრამ ეს, როგორც იტყვიან, მედლის ერთი მხარეა, „ნიჭიერი შემოქმედი ჯერ კიდევ არ ნიშნავს ნიჭიერ მმართველს“ (გივი ორჯონიკიძე). არც ისე იშვიათია შემთხვევა, როცა ჩვენს მუსიკალურ დაწესებულებებს კარგი სპეციალისტები უდგანან სათავეში, მაგრამ მიზეზების ერთობლიობამ ისეთი ვითარება შექმნა, რომ ბევრ მათგანს ამბიცია დაეუფლა, ბევრმა ირწმუნა აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე საკუთარი პრიორიტეტული უფლება. ასეთი ვითარების შექმნის პირობები არაერთმნიშვნელოვანია. განვლილმა სამოცდაათმა წელმა ჩვენს ცხოვრებას თავისი მტკივნეული დაღი დაასვა, დაგვიზიანა ფსიქიკა, გადაგვაჩვია მართლის თქმას, ისიც ცნობილია, რომ „ცხოვრების წესისა და მისი კანონზომიერების ჩამოყალიბებაში თვით ადამიანებიც მონაწილეობენ“ (დ. უზნაძე), ადამიანებს, საზოგადოდ, შესწევთ უნარი, წარმართონ და კოორდინაცია გაუწიონ როგორც საკუთარს, ასევე გარკვეული კვალი დაამჩნიონ საზოგადოების ყოფას, მოაწესრიგონ იგი. ამრიგად, ყოველ საქმეს ადამიანი უდგას სათავეში და სწორედ მის საქმიანობაზეა დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება ამა თუ იმ დარგის ბედ-ბედი. სოციალური ლიდერი, მისი ზნეობა განსაზღვრავს იმ ორგანიზაციის მართვის სტილს, რომელსაც იგი უდგას სათავეში, მაგრამ, როცა ამა თუ იმ პიროვნებას „ზევიდან“ გვინიშნავდნენ, ან როცა „ვირჩევდით“, მათ პიროვნულ თვისებებს და ზნეობას განსჯის საგნად არ, ან უფრო სწორად, ვერ ვაქცევდით ხოლმე. ამით არც საქართველოს კომპოზიტორთა ბოლო, 1984 წელს გამართული ყრილობა იყო გამონაკლისი. დღეს კი ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ მთელი სიგრძე-სიგანით წარმოაჩინა (არა მარტო მუსიკალურ ყოფაში) ორგანიზაციის ხელმძღვანელთა პიროვნული თვისებების გათვალისწინების აუცილებლობა და მისი უგულვებელყოფის მავნე შედეგები.

ამგვარი და კიდევ სხვა მრავალი პრინციპული საკითხის გამო აზრთა სხვადასხვაობამ წარმოქმნა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში აშკარა ბზარი. ამის მიზეზი ისიც არის, რომ ჩვენი შემოქმედებითი კავშირის მუშაობაში წლების განმავლობაში უგულვებელყოფილია დემოკრატიის პრინციპები.

ძნელია მოიძებნოს ადამიანი, რომელიც მხარს არ დაუჭერს ნიჭიერებას შემოქმედებაში. მე ვეთანხმები ბატონ ანდრია ბალანჩივაძის მოსაზრებას ამის თაობაზე და ვეთანხმები იმაშიც, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი ვერ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაზე. მაგრამ ვერ გავიზიარებ იმ აზრს, თითქოს ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმაში, რომ „კომპოზიტორთა კავშირი არ არის დამფუძნებელი, აღმასრულებელი, კომერციული ორგანიზაცია“ (იხ. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წ. 2 ოქტომბერი, „მხარს ვუჭერ ნიჭიერებას“). იქნებ, ეს მიზეზი ამ ორგანიზაციის მართვის სისტემაში, მის სტრუქტურაში დევს?

აბა, განვსაჯოთ:

საქართველოს ფილარმონია ერთ-ერთი კომერციული ორგანიზაციაა და რესპუბლიკის საკონცერტო ცხოვრებას, ქართული მუსიკის პროპაგანდას უნდა წარმართავდეს. ამ ორგანიზაციის სამხატვრო ხელმძღვანელი კომპოზიტორთა კავშირის მდივანია.

ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, რომელიც მუსიკალური კადრების აღზრდას ემსახურება, საუწყებო ორგანიზაციაა და მისი რექტორიც ამავე დროს კომპოზიტორთა კავშირის მდივანია.

რესპუბლიკის ერთადერთი ჟურნალი, სადაც სრულყოფილად უნდა შუქდებოდეს ეროვნული მუსიკალური ცოვრება, არის „საბჭოთა ხელოვნება“ და მისი ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი ამავე დროს კომპოზიტორთა კავშირის მდივანია.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მუსიკალურ სამმართველოში წყდება ქართული მუსიკის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ეს ორგანიზაცია აღმასრულებულია და მისი სამმართველოს უფროსიც კომპოზიტორთა კავშირის მდივანია (ყოველ შემთხვევაში, წლების მანძილზე ასე იყო).

ფილარმონიის, კონსერვატორიის, პრესისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლების გაერთიანება რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელობაში თითქოს მუსიკალური ცხოვრების უკეთ მართვის საშუალებას უნდა იძლეოდეს, მაგრამ ცხოვრების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, ანდრია ბალანჩივაძის თქმით, მაინც „ვერ ახდენს დაწოლას რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაზე“.

საქმე ისაა, რომ როცა განმკარგულებელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ერთი და იგივე პიროვნებაა, იკარგება კრიტიკის ფენომენი, სუსტდება მომთხოვნელობა შემოქმედებითი კავშირის მდივნისა იმ ორგანიზაციისადმი, რომლის ხელმძღვანელიც თვითონვეა. ამიტომაა, რომ პრობლემური საკითხები იმ ორგანიზაციებისა და კოლექტივებისა, რომელთა ხელმძღვანელები ამავე დროს კომპოზიტორთა კავშირსაც ხელმძღვანელობენ, წლების მანძილზე ან არ გამოაქვთ შემოქმედებით კავშირში სამსჯავროზე, ან მათი განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მთელი რიგი პრობლემების დაგროვების ერთ-ერთი მიზეზი ამაშიც უნდა ვეძებოთ.

ათი წელია, კომპოზიტორთა კავშირის ხელმძღვანელობა ზემოთ აღნიშნული პრინციპითაა დაკომპლექტებული და მოწმენი ვხდებით, რომ მმართველობის ასეთმა სისტემამ ვერ გაამართლა.

მმართვის სისტემის ამგვარი კონცეფცია სირთულეებს ქმნის მუსიკალური დარგის სხვადასხვა უბანზე, ხელს უწყობს უძრაობის მდგომარეობას, ქმნის ხელოვნურ ბარიერებს ფართო შემოქმედებითი მუშაობისა და რესპუბლიკის მუსიკალური ყოფის ნორმალიზაციისათვის.

მალე კვლავ გაიმართება საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მორიგი, მერვე ყრილობა და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საკითხების გადაწყვეტისას ადგილი აღარ ექნება ძალისმიერ პოლიტიკას არც „ზევიდან“ და არც „ქვევიდან“. ყრილობას მრავალ საკითხზე მართებს სერიოზული დასკვნების გაკეთება, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ შევიმუშაოთ შემოქმედებითი კავშირის სტრუქტურის რაც შეიძლება დემოკრატიული მოდელი.

მუსიკალური ცხოვრების მართვა-მოწესრიგება არანაკლებადაა დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორ ფუნქციონირებს ესა თუ ის შემოქმედებითი კოლექტივი, როგორია ორგანიზაციის ხელმძღვანელის „განწყობის თეორია“, ან რა საზომით ვსარგებლობთ, როცა ამა თუ იმ მუსიკალური ორგანიზაციის მუშაობას ვაფასებთ?

პრესაში ხშირად ვხვდებით ჩვენთვის მეტად სასიამოვნო ფაქტებს იმის შესახებ, რომ ქართველმა მომღერალმა დაიპყრო მსოფლიო საოპერო სცენა, ან ქართველი კომპოზიტორის სიმფონია ამა თუ იმ დირიჟორის დირიჟორობით საზღვარგარეთ ტრიუმფალურად შესრულდა. ეს, რა თქმა უნდა, იმ მომღერლის, იმ კომპოზიტორისა და დირიჟორის ნიჭის გამოხატულებაა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი შემოქმედებითი წარმატებები მექანიკურად გადმოვიტანოთ და მათსავე საზოგადოებრივ-ადმინისტრაციულ საქმიანობას დავუკავშიროთ. ეს „მეთოდი“ მცდარია, მაგრამ იგი დიდი წარმატებით გამოიყენება ჩვენს პრაქტიკაში. ორგანიზაციის მუშაობას მისი მმართველის შემოქმედებითი პროდუქციით კი არ უნდა ვაფასებდეთ, არამედ ორგანიზაციის ფუნქციონირებით. მუსიკალური ორგანიზაციების ფუნქციონირებაზე კი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრება.

თავს უთუოდ მოვიტყუებთ, თუ ვიტყვით საქართველოში და კერძოდ თბილისში მუსიკალური ცხოვრების დონე მაღალია. სიმართლე იქნებოდა გვეთქვა, მუსიკალური ცხოვრების დონე (ვცდილობ, რბილად ვთქვა) არ არის სათანადო სიმაღლეზე და თუ მუსიკალურ ცხოვრებას მართავენ მუსიკალური ორგანიზაციები (ფილარმონია, კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი და ა. შ.), გამოდის, რომ არც ეს ორგანიზაციები ფუნქციონირებენ გამართულად. სამაგიეროდ, მუსიკალურ ორგანიზაციათა მესვეურები პრესითა და ტელევიზიით დაჟინებით ცდილობენ, რაც შეიძლება „პრესტიჟულად“ წარმოადგინონ თავიანთი შემოქმედებითი დაწესებულებებისა და კოლექტივების საქმიანობა.

თუ გავიხსენებთ 1983 წელს, როცა თბილისის ოპერის თეატრში იდგმებოდა რიჰარდ შტრაუსის ოპერა „სალომე“, თეატრის მესვეურებმა ზარ-ზეიმით განუცხადეს საზოგადოებას, ეს ოპერა პირველად იდგმება საბჭოთა კავშირშიო. ერთ-ერთ ინტერვიუში კი („თეატრი მუზეუმად ვერ იქცევა“, გაზეთი „თბილისი“, 1987 წლის 29 აგვისტო) ნათქვამია: „ახალ სეზონში (ლაპარაკია 1987-88 წლების სეზონში — **თ. შ.**) ჩვენი რეპერტუარი გამდიდრდება სპექტაკლებით, რომლებიც **თბილისში ჯერ არ დადგმულა,** გავითვალისწინეთ მომღერლების სურვილი და თხოვნა და ვდგამთ ვერდის **„ბალ-მასკარადს“**, პუჩინის **„ტურანდოტს“** (...) ბევრს სურს, აგრეთვე ჩვენს სცენაზე ნახოს **ვაგნერი, რომლის დადგმის ტრადიცია საერთოდ არ გაგვაჩნია“** (სტილი დაცულია, ხაზი ჩემია — **თ. შ.**). საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ასეთი განცხადება ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ცნობილია, რომ რიჰარდ შტრაუსის „სალომე“ საბჭოთა კავშირში პირველად თბილისში არ დადგმულა (ჩემი სტუდენტობის დროს, 1967-72 წლებში თვითმხილველი ვარ ამ ოპერისა რიგის საოპერო თეატრის სცენაზე). ჯუზეპე ვერდის „ბალ-მასკარადი“ კი თბილისში პირველად დაიდგა 1862 წელს, მეორედ — ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო რაც შეეხება ვაგნერის ოპერებს, ყველას კარგად გვახსოვს თბილისის საოპერო სცენაზე დადგმული „ლოენგრინი“ და „მფრინავი ჰოლანდიელი“ (პირველი ოპერა დაიდგა 1973 წელს, ხოლო უფრო ადრე, 1922-23 წლების სეზონში იგი დაუდგამს კოტე მარჯანიშვილს, მეორე კი „მფრინავი ჰოლანდიელი“ — 1976 წელს). მაშ რაშია საქმე? რატომ გვინდა დავივიწყოთ ყველაფერი ის, რაც ჩვენამდე იყო? ვის სჭირდება ასეთი ყალბი რეკლამა? განა ასეთი „პირველობა“ ოპერის თეატრის საქმიანობის წარმოჩენის უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა?

გარდა ამისა, როცა მაყურებელს სეზონის გახსნის წინ ვპირდებით ამა თუ იმ ნაწარმოებს დავდგამთო, სიტყვა არ უნდა გავტეხოთ. „ბალ-მასკარადის“ დადგმამ ერთი სეზონით დაიგვიანა, „ვერ მოესწრო უფრო ტექნიკური მიზეზების გამო“ („გაზეთი „თბილისი“, 1988 წ. 1 სექტემბერი — „თეატრში მთავარია სიცოცხლე“). მაგრამ სად გაქრა 1987-88 წლების სეზონში დაპირებული პუჩინის „ტურანდოტი“, იური გრიგოროვიჩის ინტერპრეტაციით პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტა“, გლაზუნოვის „რაიმონდა“ ან ანდრია ბალანჩივაძის ახალი ოპერა „განგა“?

გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ 1987 წლის 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამდივნოს წერილი სათაურით «Невольно задумаешься». მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო აღნიშნულ წერილში მოყვანილ მხოლოდ ორ საკითხზე: 1) ყველამ კარგად ვიცით ჩვენი რესპუბლიკის მუსიკალური ფესტივალების ორგანიზატორები: თელავისა — ქალბატონი ელისო ვირსალაძე, გორისა — გორის სამუსიკო სასწავლებელი და მისი დირექტორი ბატონი სანდრო კაჰარავა, ქუთაისისა — ქალბატონი მაყვალა ქასრაშვილი და ბატონი ზურაბ სოტკილავა, ბიჭვინთისა — ქალბატონი ლიანა ისაკაძე, მასვე ეკუთვნის ფესტივალის ორგანიზაცია „მუსიკოსები ხუმრობენ“. ყველა ამ ფესტივალის კოორდინაციას საქართველოს კულტურის სამინისტრო ეწევა. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თელავისა და გორის ფესტივალების ორგანიზებისას საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმაც მიიღო მონაწილეობა რამდენიმე კომერციულ საკითხში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს კრიტიკისაგან თავის დაცვის გარანტია და მით უმეტეს — თავისმოწონების საშუალება; აი, რა კარგად ვმუშაობთ, რა მრავალრიცხოვან ფესტივალებს ვაწყობთ. იმავე წერილში საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო თავს იქებდა, ოპერის თეატრის ორკესტრის გაძლიერებაში დიდი წვლილი შევიტანეო. თბილისის საოპერო თეატრის ორკესტრის შემადგენლობა მართლაც გაძლიერდა ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის მუსიკოს-შემსრულებლების მეოხებით და ამით საოპერო თეატრში მიღწეულ იქნა გარკვეული მხატვრული ეფექტი, მაგრამ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის სამდივნო მოვალე იყო ამ ფაქტისათვის ობიექტურად შეეხედა. მართალია, ეს ეფექტი ხომ ამ ექსპერიმენტის საწყის ეტაპზე და თანაც მხოლოდ რამდენიმე ე. წ. პრესტიჟულ სპექტაკლზე იქნა მიღწეული და გარკვეული მიღწევები, სამწუხაროდ, სტაბილური ვერ გახდა. რეალურად კი მივიღეთ, რომ ერთი კოლექტივის, საოპერო თეატრის ორკესტრის გაძლიერებით, საგრძნობლად შესუსტდა მეორე, ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრის საშემსრულებლო დონე და მოდუნდა ამ კოლექტივის საკონცერტო ინტენსივობა (მხედველობაში მაქვს თბილისის კონცერტები).

(მინდა რწმენა გამოვთქვა, რომ დავით აღმაშენებლის გამზირზე ბრწყინვალედ აგებული ახალი საკონცერტო დარბაზი, რომელშიც დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ ჯანსუღ კახიძეს, და რომელიც ჩვენი ერისათვის დიდი შენაძენია, სამომავლოდ საქართველოს სიმფონიური ორკესტრის კოლექტივს დიდ იმპულსს მისცემს, რათა დაიბრუნოს ის ფუნქცია, რომელსაც იგი ერთ დროს ასრულებდა).

**თენგიზ შავლოხაშვილი**

**(დასასრული იქნება)**

# „გორდა" აღარ ხუმრობს...

...1868 წლიდან ფოთში ნავსადგურის აგება დაიწყეს, მაგრამ სულ მალე ქარიშხალმა და ღელვამ ხის მასალისაგან დამზადებული კონსტრუქციები ერთიანად გაანადგურა. საჭირო იყო ნავსადგურის გადაკეთება, რომელიც ნიკო ნიკოლაძეს დაევალა. ამ დიდ პიროვნებასთან არის დაკავშირებული არა მარტო ნავსადგურის, არამედ ქალაქის მშენებლობის საქმეც. მისი ინიციატივით აშენდა ქალაქის თვითმმართველობის შენობა, ელექტროსადგური, გაიყვანეს რკინიგზა და კონკა. 1906 წელს კი ფოთის ნავსადგურის მისადგომებთან საოკეანო ხომალდებიც გამოჩნდნენ, რომლებიც მსოფლიოს მრავალი სახელმწიფოდან ილებდნენ გეზს. მათ შორის, რა თქმა უნდა, იყვნენ ინგლისიდანაც — ფეხბურთის სამშობლოდან. თავდაპირველად ფოთელები ეჭვის თვალით უყურებდნენ, თუ როგორ „უცნაურად" ერთობოდნენ ინგლისელი მეზღვაურები თავისუფალ დროს. მათი თამაში რაღაცით კი წააგავდა ლელობურთს, მაგრამ განსხვავებაც ბევრი იყო. სულ მალე ფოთელები მოუშინაურდნენ ფეხბურთსაც და ინგლისელებსაც და 1908 წლისათვის პირველი გუნდიც კი ჩამოაყალიბეს, რომელიც ინგლისელი საქმოსნის ოსკარ ზივერტის დიდი დამსახურება იყო. რაც დრო გადიოდა, ჩვენი „პირველი მერცხლები" უფრო და უფრო უთანაბრდებოდნენ კლასით ინგლისელებს და ოციანი წლებისათვის უკვე რამდენიმე გამარჯვებაც ჰქონდათ მოპოვებული. ქართული ფეხბურთის ერთ-ერთმა პიონერმა, 77 წლის აკაკი იმნაძემ ჩვენთან საუბარში გაიხსენა, „დინამოს" გასამაგრებლად თუ როგორ მისდევდა 5 ნომერ ტრამვაის, რომელიც ახლანდელი ფილარმონიის ტერიტორიიდან სტუდქალაქში ადიოდა... გაიხსენა ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ 1934 წელს მოსკოვში უმაღლეს სასწავლებლებს შორის გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე გამარჯვებულ საქართველოში იმდროისათვის უძლიერესი გუნდის — „ზიი"-ს შემადგენლობაში მის გვერდით სხვა ფოთელი ფეხბურთელებიც გამოდიოდნენ: ბორია პაიჭაძე, გრიშა გაგუა, ვანიჩკა კინწურაშვილი, კაკო ყალიჩავა და სხვები. გამარჯვებულებს 400-400 მანეთთან ერთად ველოსიპედებიც ერგოთ, რომელიც ერთობ ფუფუნების საგნად ითვლებოდა მაშინ.

ეროვნული ჩემპიონატის მეხუთე ტურის შეხვედრებიდან წინდაწინვე ცნობილი იყო, რომ ცენტრალური მატჩი „კოლხეთი — 1913"-სა და „გორდას" შორის უნდა ყოფილიყო. მდიდარი საფეხბურთო ისტორია, ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერის სახელი, პირველი მატჩი საკუთარ სტადიონზე — ყველაფერი ეს ერთად აღებული უფრო მაინტრიგებელს ხდიდა. „პირველ მერცხლებს" მეტოქეც უაღრესად საშიში და სერიოზული შეხვდათ — არა, არც ინგლისელი მეზღვაურები და არც არაბი ვაჭრები, არამედ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი საფეხბურთო კლუბი „გორდა". სანამ ფეხბურთელები მწვრთნელებისაგან მატჩისწინა დარიგებებს იღებდნენ, ფოთის „ფაზისის" სტადიონზე შესანიშნავი სანახაობა მოეწყო. ყველანი, ვინც ამ ცივ და ავდრიან დღეს მოვიდნენ მატჩზე დასასწრებად, ალბათ, გულგრილნი არ დარჩენილან ბრწყინვალედ მომზადებული საზეიმო გახსნისა. ერთი საგულისხმო მომენტიც არის გასათვალისწინებელი — მატჩის წინ რამდენიმე რუსთაველ ფეხბურთელთან საუბარში გამოირკვა, რომ ისინი მხოლოდ მოგების წყურვილით იყვნენ ჩამოსულები. პირველმა წუთებმა დაამტკიცეს კიდევაც ასეთი თვითდაჯერება — მათ ზედიზედ ორი კუთხური მოაწოდეს მამუკა გვასალიას კართან. როგორც ყოველთვის, აქტიურობდა „გორდას" მარჯვენა მცველი გია ფირცხალავა, ხოლო ყველა შეტევის ორგანიზატორი კი მამუკა აფციაური იყო, რომლის უაღრესად დახვეწილ დრიბლინგს და ბრწყინვალე გადაცემებს ფოთელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. თანდათანობით „კოლხეთის" ფეხბურთელებმა მატჩის სადავეები ხელთ ჩაიგდეს და მათი გამოცდილი ნახევარმცველი ნუგზარ მთვარაძე არაერთხელ ეცადა უძლიერესი დარტყმებით რუსთაველთა მეკარე ალექსანდრე მეშკოვის ოსტატობა შეემოწმებინა. ტერიტორიული უპირატესობა თანდათან ფოთელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ რეალური საფრთხე მეტოქის კართან არ შექმნილა. „კოლხეთის" წინა ხაზის მოთამაშეები დავით მახარაძე და ივანე ჯუღელი საიმედოდ იქნენ „აყვანილნი" რუსთაველთა მცველების მიერ, რომელთა გამოცდილი და ალბათ, ზომაზე მეტად ემოციური თავისუფალი მცველი ხვიჩა ქასრაშვილი ხელმძღვანელობდა უნარიანად. ფოთელებმა აქცენტი ფლანგის ნახევარმცველებზე აიღეს, მაგრამ ზურაბ თოფურიას და გია გიორგაძეს მეტად „მკაცრი" მოწინააღმდეგენი ჰყავდათ რუსთაველთა განაპირა მცველების გია ფირცხალავას და ედუარდ ავაქიანის სახით. ფირცხალავამ არა მარტო დაცვაში საიმედო თამაშით გამოიჩინა თავი, არამედ იმ ბრწყინვალე რეიდებითაც, რომელთა შედეგადაც არაერთხელ შეიქმნა სახიფათო მომენტი ფოთელთა კართან. გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ამ ამპულაში იგი დღესდღეობით რესპუბლიკაში ერთ-ერთი საუკეთესოა. ასევე მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა ფოთელთა კაპიტანს რობერტ ქაჯაიას რუსთაველთა ერთადერთი ნომინალური თავდამსხმელი ვასილ მიქაშავიძე, რომელიც ნელ-ნელა იბრუნებს სპორტულ ფორმას. ამ მატჩში მიქაშავიძემ თავისი განუწყვეტელი მანევრირებით და უბურთოდ ხშირი მოძრაობით ბევრი თავსატეხი გაუჩინა „კოლხეთის" მცველებს. პირველ ტაიმშივე მოხდა რამდენიმე უსიამოვნო ინციდენტი, მაგრამ ჯამში მთლიანი მატჩის შინაარსი მაინც არ შეცვლილა. შეხვედრის მთავარ მსაჯს, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრს ანატოლი მილჩენკოს ორჯერ დასჭირდა „გორდას" ფეხბურთელებისათვის ყვითელი ბარათის ჩვენება და ორივეჯერ ვასილ მიქაშავიძემაც და მამუკა აფციაურმაც მსაჯთან შელაპარაკებისთვის „დაიმსახურეს" ეს სასჯელი. აღსანიშნავია, რომ აფციაურისთვის ეს უკვე მესამე(!) გაფრთხილება იყო მიმდინარე სეზონში და იმედია, რომ ეს უაღრესად ნიჭიერი და დიდი პოტენციალის მქონე ფეხბურთელი სათანადო დასკვნებს გამოიტანს. თუმცა, კი ჩვენი წმინდა სუბიექტიური აზრით, შეხვედრის მთავარი მსაჯი ალბათ, ცოტათი, აჩქარდა კიდეც, რომ ეს გაფრთხილებები გამოიტანა. პირველი ტაიმის შუა მონაკვეთში ბრძოლა ძალიან გამძაფრდა და ნერვული ხასიათიც მიიღო. ამას ისიც დაემატა, რომ ვიღაც არაგულშემატკივარმა ერთ-ერთ გვერდით მსაჯს ქვა ესროლა და თამაშიც დროებით შეწყდა. თუმცა ეს ინციდენტი სულ მალე მოგვარდა და ალბათ, ზუსტად ამ შეჩერების გამო იყო, რომ პირველი ტაიმის მიწურულს მსაჯმა 2 წუთით გადააცილა დანიშნულ დროს. ამ დროს რუსთაველებმა კუთხურის ჩამოწოდების უფლება მიიღეს და ავთანდილ კაპანაძემ მეტად სახიფათო ბურთი ჩამოჰკიდა მეტოქის საჯარიმოში, სადაც ტარიელ კაპანაძემ სამ მცველსა და მეკარესთან ბრძოლაში მეტად ეფექტური ბურთი გაიტანა თავით — 1:0. ცხადი იყო, რომ ფოთელები არ შეურიგდებოდნენ დამარცხებას და მეორე ტაიმიც მათი გააფთრებული შეტევებით დაიწყო. საკმაოდ გააქტიურდა ფოთელ გულშემატკივართა კერპი, 23 წლის გია გიორგაძე, მეტად სწრაფი ფეხბურთელი. უფრო ენერგიულად ათამაშდა ტანმაღალი დავით მახარაძეც, ხოლო ივანე ჯუღელს რეალური შანსიც ჰქონდა ბურთის გატანისა, მაგრამ ხვიჩა ქასრაშვილმა თავგანწირული თამაშით თავისი გუნდი აშკარა უსიამოვნებას გადაარჩინა.

ერთ-ერთი ფოთელთა შეტევის ჩაშლის შემდეგ კი მამუკა ფანცულაიამ ბრწყინვალე დიაგონალური გადაცემით გარღვევაზე გაიყვანა ვასილ მიქაშავიძე, რომელმაც საკმაოდ ორიგინალური ბურთი გაიტანა: შეხვედრის დამთავრებამდე 25 წუთი იყო დარჩენილი, მაგრამ აშკარად ჩანდა რომ რუსთაველთა საკმაოდ ძლიერი გუნდი უპირატესობას ხელიდან არ გაუშვებდა. თუმცა, ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ცდა არ დაუკლიათ ანგარიშის შეცვლისათვის და ერთხელ ნუგზარ მთვარაძის ოსტატურად შესრულებული საჯარიმოს შემდეგ რუსთაველთა კარი მხოლოდ ზედა ძელმა იხსნა... ყველაზე სასიამოვნო კი, ალბათ, მაინც ის იყო, თუ როგორი ტაშით გააცილა ფოთელმა ობიექტურმა და ფეხბურთის მცოდნე გულშემატკივარმა „გორდას" ფეხბურთელები და მათი ხელმძღვანელები. ამ რაინდულმა საქციელმა იმ ვაი-გულშემატკივარის საქციელიც კი გაანეიტრალა და მთლიანობაში შეიძლება ვაღიაროთ, რომ ამ საფეხბურთო სანახაობამ „შავი ლაქების" გარეშე ჩაიარა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ „გორდამ" შეხვედრის მეორე ტაიმში ისეთი დონის ფეხბურთი აჩვენა, რომლის შემხედვარე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოწინააღმდეგე ან სკეპტიკოსი აუცილებლად თავის შეხედულებას შეიცვლიდა. ასე რომ, „გორდა" ნამდვილად აღარ ხუმრობს. მატჩის შემდეგ გავესაუბრეთ ორივე გუნდის ხელმძღვანელებს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფოთის „კოლხეთი — 1913"-ის საინტერესო კოლექტივი იმ შეხვედრაში მთავარი მწვრთნელის — ჯონი ჯანელიძის გარეშე გამოვიდა (იგი საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფება აშშ-ში). „კოლხეთი — 1913"-ის მეორე მწვრთნელმა თემურ ტყებუჩავამ მადლობა გადაუხადა თავის უფროს კოლეგას კარგი თამაშისათვის და ერთ-ერთი პირველმა მიულოცა გამარჯვება. თავისი გუნდის დამარცხება კი ფსიქოლოგიური ფაქტორით ახსნა, რადგანაც დიდი იყო ფეხბურთელების სურვილი, რომ საკუთარ მოედანზე პირველ მატჩში წარმატებისათვის მიეღწიათ. რა თქმა უნდა, გუნდში საგრძნობლად იგრძნობოდა გია გიგატაძის არყოფნა, ამას კიდევ ისიც დაემატა, რომ ოჯახური პრობლემების გამო საეჭვო იყო ფოთელთა ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელის დავით მახარაძის გამოსვლა ამ მატჩში.

რაც შეეხება გივი ნოდიას, მან კმაყოფილება გამოსთქვა მთლიანად მატჩის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს მოგება გარკვეულ სტიმულსაც მისცემს მთელ გუნდს. მისი სიტყვებით, „გორდას" საკმაოდ ბევრი სათამაშო რეზერვი გააჩნია და ჯერჯერობით ფეხბურთელები კეთილსინდისიერად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოთხოვნებს და ისეთი თამაშით, როგორც „გორდამ" მეორე ტაიმში აჩვენა, საკმაოდ რეალურად შეუძლია მაღალი მიზნებისაკენ იფიქროს..

დასასრულ კი, გაგაცნობთ V ტურის ამ ცენტრალური მატჩის მონაწილე გუნდების შემადგენლობებს და სხვა შეხვედრების ანგარიშებს.

**„გორდა"**: მეშკოვი, ფირცხალავა, ავაქიანი, კუდინოვი, ქასრაშვილი, აფციაური, ტ. კაპანაძე, მეტრეველი (დიმიტრიშვილი, 87 წთ.), ა. კაპანაძე, ფანცულაია (კოლასონია, 74 წთ), მიქაშავიძე, (წიკლაური, 88 წთ).

**„კოლხეთი — 1913"**: გვასალია, გურგენიანი, ქაჯაია, გიორგაძე, თიბილაშვილი (ქუონია, 70 წთ), შამათავა, თოფურია მახარაძე, ჯუღელი, მთვარაძე, ავრამიდისი.

**„ქუთაისი" — „სამგურალი" 4:2;**
**„ოზურგეთი" — „ცხუმი 0:0;**
**„მზიური" — „ლიახვი" 2:0;**
**„ივერია" — „დილა" 1:3;**
**„ხანავარდო" — „კოლხეთი" (ხობი) 2:2;**
**„გურია" — „შევარდენი — 1906" 4:0;**
**„ბათუმი" — „ოდიში" 1:0;**
**„იბერია" — „ამირანი" 6:0.**

**გია ტუხაშვილი,**
ჩვენი სპეც. კორ.

# სიმართლისათვის

**საქართველოს ახალგაზრდობის ფონდის კულტურული ცენტრის ხელმძღვანელმა,** კინომსახიობმა მამუკა კიკალეიშვილმა ამ დღეებში აზერბაიჯანის კინოსტუდიის დირექტორისაგან რამიზ ფატალიევისაგან მიიღო ვიდეოფირი, რომელიც საბჭოთა არმიის მიერ ბაქოში მოწყობილ არაადამიანურ რბევას ასახავს. ჩვენთვისაც კი, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა 9 აპრილის საშინელებანი, აღნიშნული ვიდეომასალა უაღრესად დამაფიქრებელი და საგანგაშოა.

ფილმი, რომელშიც, რამიზ ფატალიევის თქმით, ყველაზე შემზარავი კადრები შეგნებულად არ იქნა შეტანილი, გვაოცებს თავისი ბატალურობითა და დოკუმენტური სიცხადით, მუხლუხოებქვეშ გათელილან ადამიანები, [illegible] ნიანი თვითმცლელები [illegible] წარმოიდგინეთ, [illegible] რების მანქანებიც კი. მოსახლეობა და მათ შორის რუსებიც დაუფარავ წყევლა-კრულვას უთვლიან მოსკოველ ხელისუფალთ, სასოწარკვეთამდე მისულნი ევედრებიან დედებს, არ გამოუშვან შვილები სხვის შვილებზე სანადიროდ.

ვფიქრობთ, ქართველებმა, და არა მარტო ქართველებმა, ეს ფილმი აუცილებლად უნდა ნახონ — კრემლი ხომ ჯერჯერობით ისევ იმპერიის ციტადელად რჩება!

**გიორგი ოქროსცვარიძე**

# თანამემამულენო!

საოკუპაციო ჯარში ქართველთა სამსახური, ანტიეროვნული, ანტიდემოკრატიული კანონების მიღება საკავშირო უზენაესი საბჭოს მიერ, ლიტვის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოსკოვის იმპერიალისტური მოქმედებანი აუცილებლად მოითხოვს ჩვენს რეაგირებას.

ამ საკითხების განსახილველად და შესაბამისი მოთხოვნების წამოსაყენებლად გიწვევთ მიტინგზე, რომელიც შედგება დღეს, დღის 4 საათზე, კინოს სახლის წინ.

**ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;**
**საქართველოს პროგრესულ-დემოკრატიული პარტია;**
**საქართველოს რესპუბლიკური პარტია;**
**საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ორგანიზაცია (სეგო);**
**თბილისის პოლიტიკური კლუბი;**
**ივანე ჯავახიშვილის საზოგადოება;**
**არჩილ ჯორჯაძის საზოგადოება;**
**ვენის კავშირი;**
**თავისუფალი შრომის კლუბი;**
**რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ასოციაცია „ჯავახეთი";**
**დემოგრაფიული საზოგადოება;**
**საქართველოს სახალხო ფრონტი.**

**ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი" (გულმოწყალების ორდენი და საქართველოში შიდსის გავრცელების წინააღმდეგ მებრძოლი ნებაყოფლობითი საზოგადოება) აცხადებს შიდსის თემაზე შესრულებული საუკეთესო პლაკატის**

# კონკურსს

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხატვრებს, სამხატვრო აკადემიისა და სასწავლებლების სტუდენტებს, ყველა მსურველს.

პლაკატი შეიძლება შესრულებულ იქნას ნებისმიერი სტილით.

დაწესებულია პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 1000 მანეთი.

ორი მეორე პრემია — 750 მანეთი თითოეული.

სამი მესამე პრემია — 500 მანეთი თითოეული.

და რამოდენიმე წამახალისებელი პრემია.

ნამუშევრების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა მ. წ. 1 ივნისი.

კონკურსის ჟიურიში შედიან ექიმები, მხატვრები, შემოქმედებითი კავშირების წევრები.

ინფორმაცია პლაკატების გამოფენის თაობაზე გამოქვეყნდება დამატებით.

ტელეფონები ცნობებისათვის: 95-04-97 (10 სთ-დან 18 საათამდე).

96-96-26 (19 საათიდან).

## გორის ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1990 წლის მისაღები გამოცდები სპეციალობების მიხედვით ჩატარდება შემდეგ დისციპლინებში:

**1. ქართული სექტორის სპეციალობაზე** — ფინანსები და კრედიტი, სტატისტიკა, საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი—აბარებენ გამოცდებს შემდეგ დისციპლინებში: მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, თხზულება).

სპეციალობაზე — ზოგადტექნიკური დისციპლინები და ინფორმატიკა: მათემატიკა (წერა და ზეპირი), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა, თხზულება).

**2. რუსული სექტორის სპეციალობაზე** — საბუღალტრო აღრიცხვა, კონტროლი და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი: მათემატიკა (წერა), გეოგრაფია (ზეპირი), საქართველოს ისტორია (ზეპირი), რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, თხზულება).

## თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ჟურნალისტიკის" სპეციალობაზე შემსვლელ აბიტურიენტთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ მისაღები გამოცდების წინ (ერთი კვირით ადრე), აბიტურიენტთა ჟურნალისტური ნიჭისა და მიდრეკილების გამოვლენის მიზნით ჩატარდება შემოქმედებითი კონკურსი (ორ ტურად) — წერითი და გასაუბრების სახით.

დადებითი შეფასების მიღებისას, აბიტურიენტი დაიშვება მისაღებ გამოცდებზე, ხოლო ჩარიცხვის დროს მიღებული ქულები გათვალისწინებული იქნება პირველ რიგში თანაბარი პირობების შემთხვევაში.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანატს, შემდეგი მისამართით: ი. ჭავჭავაძის გამზირი № 8, თსუ VI კორპუსი, სართული IV.

**მიმღები კომისია**

რედაქტორი
**მერაბ ბალარჯიშვილი**

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ,კოსტავას ქ. № 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 Наш индекс 66400.
უე 00244